

ჩემი ალვოკატი



ახალი ინიციატივა ადვოკატებისთვის – კორპორატიული შეთავაზებები.
 დეტალები იხილეთ ვებ-გვერდზე: www.gba.ge



კორპორატიული შეთავაზება „ტორჯიტანსგან“



კორპორატიული შეთავაზება m²-სგან



კორპორატიული შეთავაზება „არლი დაგღვევა“



კორპორატიული შეთავაზება „რ ზაუფისგან“



კორპორატიული შეთავაზება „საქმიანი წიგნაკები“



კორპორატიული შეთავაზება მუსიკის მალაზია „მირელი“

ჩვეი ადვოკატი

გამომცემელი
 © სსიპ საქართველოს ადვოკატთა
 ასოციაცია
 ძმ. ზუბალაშვილების ქ. 8-8ა
 თბილისი 0108
 საქართველო
 ტელ: +995 32 2 98 78 78
 ელ. ფოსტა info@gba.ge
www.gba.ge

რედაქტორი
 ევა ხიმშიაშვილი
 დავაბადონება და დიზაინი
 თორნიკე ლორთქიფანიძე
 მხატვარ-ილუსტრატორი
 მარგო ციხცაძე
 ჟურნალის ყდა
 მარგო ციხცაძე

ადვოკატთა ასოციაციის სარედაქციო
 გუნდი

თავმჯდომარე
 დავით ასათიანი

ადმინისტრაციული მდივანი
 გიორგი ჭეხანი

ადმინისტრაციის უფროსის მ.შ.
 თამთა დევდარიანი

სარედაქციო კოლეგია
 თორნიკე ბაქრაძე
 ციცილო ცხვედიანი
 ვახტანგ მჭედლიშვილი
 ირაკლი ბურდული
 ირაკლი ყანდაშვილი
 მარინე ნიქაბაძე
 კონსტანტინე კორკელია
 ანა ხურციძე
 სესილი ქაღარია
 თამთა მურადაშვილი

ბეჭდვა
 სტამბა „სეზანი“
 ISSN-1987-5479

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების
 ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება
 კომერციული მიზნით, ს.ს.ი.პ.
 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
 ნებართვის გარეშე აკრძალულია



სუსხისა და მკვანამების
 ურთიერთმიმართება
 (თეორია და სასამართლო პრაქტიკა)



მინათსარგებლობის გენერალური
 გეგმის შესაძლო უარყოფითი
 გეგმავლენა საკუთრების უფლებებზე
 და მისი დაცვის საშუალებები



სამედიცინო მოსახსურებით
 მიყენებული ზიანის ანაზღაურების
 პანონით დადგენილი
 წინაპირობების ასახვა ქართულ
 სასამართლო პრაქტიკაში



ინტელექტუალური საკუთრების
 ობიექტებზე უფლებების სარგებლის
 უზრუნველყოფის ღონისძიებების
 გამოყენების თავისებურებები



ბლოკჩეინის სამართალი:
 გონიერი კონტრაქტები
 და ტოქენიზაცია



კონფიდენციალობის
 დაცვა საადვოკატო საქმიანობაში



ალ-ბაშირის ცალმხრივი
 ბილეთი ჰაბისკან: შესუსტდა
 კი სახელმწიფო მეთაურების
 იმუნიტეტი?



გამოსახვის თავისუფლება:
 ადამიანის უფლებათა ევროპული
 სასამართლოს გრძელდევნილი
 სამართლის განვითარება ინტერნეტ
 სივრცეში და სოციალურ ქსელთან
 დაკავშირებით



სესხისა და მევახშეობის ურთიერთმიმართება (თეორია და სასამართლო პრაქტიკა)

ავტორი: ქეთევან მესხიშვილი
თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

სესხის ხელშეკრულების არსი

სესხის ხელშეკრულება სამოქალაქო ბრუნვაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხელშეკრულებაა.

სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხის და რაოდენობის ნივთი.

სესხის ხელშეკრულების საგანი არის ფული ან გვაროვნული ნივთი განსაზღვრული სხვა ნივთები, რომელთა მახასიათებლები შეიძლება იყოს: ზომა, წონა, მოცულობა და ა.შ. პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია ფულის სესხების ურთიერთობები. მსესხებელი არ არის ვალდებული გამსესხებელს დაუბრუნოს კონკრეტული კუპონები და მონეტები. მან გამსესხებელს უნდა დაუბრუნოს იმავე ოდენობის თანხა, ანუ გასესხებულ თანხაში იგულისხმება მისი ოდენობა და არა განსაზღვრული ფულადი ნიშნები¹.

ათწლეულებს ითვლის სესხის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებული დავა, კერძოდ, თუ რა ტიპის ხელშეკრულებაა სესხის ხელშეკრულება. აქტუალური სასამართლო პრაქტიკით სესხის ხელშეკრულება დღესაც რეალურ ხელშეკრულებად მიიჩნევა. სასამართლოს განმარტე-

ბით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სესხი რეალურ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა არა მხოლოდ მის არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხმებით, არამედ ხელშეკრულების საგნის-გვაროვნული ნივთის მსესხებლისათვის გადაცემის მომენტიდან წარმოიშობა. შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალი გარემოება, უპირველესად, ხელშეკრულების საგნის გადაცემა². სესხის ხელშეკრულება ცალმხრივ და რეალურ ხელშეკრულებას წარმოადგენს, ანუ იგი დადებულია მიიჩნევა და მხარეს დაბრუნების ვალდებულება წარმოეშობა გამსესხებლის მხრიდან ხელშეკრულების საგნის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან³. შესაბამისად, თუ თანხის გადაცემა არ დგინდება, არც ხელშეკრულება ითვლება დადებულიად, რადგან **სესხის ხელშეკრულება**, როგორც ზემოთ ითქვა, **რეალური ხელშეკრულებაა** და დადებულიად სესხის გადაცემის მომენტიდან ითვლება⁴.

აღნიშნული შეხედულების საპირისპიროდ, დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების შესაბამისად, სესხის ხელშეკრულება კონსესუალურ ხელშეკრულებად მიიჩნევა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი დადებულიად ითვლება სესხის ხელშეკრულების არსებით პირობებზე აქცეპტირებული ოფერტის, სხვაგვარად თუ ვიტყვით, მხარეთა თანხმებულ ნების არსებობის პირობებში⁵. შესა-

ბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ ერთი მხარე მეორე მხარეს საკუთრებაში გადასცემს ფულს, ფულის ოდენობა, აღნიშნული ფულით სარგებლობის პირობები და დაბრუნების ვადა იმ არსებით პირობებად ითვლება, რომელზე შეთანხმებაც გულისხმობს, რომ სესხის ხელშეკრულება დადებულია.

ამ მიმართებით ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ სესხის ხელშეკრულების დადება და სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება. სესხის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. თუ სესხის ხელშეკრულება ზეპირი ფორმით იდება, მსესხებლის მოთხოვნა გამსესხებლის მიმართ, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისა და სესხის თანხის გადაცემის თაობაზე, თეორიული თვალსაზრისით, დასაბუთებული, თუმცა, პრაქტიკულად, ძნელად რეალიზებადია, რადგან სესხის ხელშეკრულების ზეპირი ფორმით დადება, მართალია, დასაშვებია, თუმცა, მისი არსებობის დადასტურება სასამართლოში რთულად წარმოსადგენია. მით უფრო, ისეთი საკანონმდებლო რეგულაციის პირობებში, რომლის მიხედვითაც, ზეპირი ხელშეკრულების დროს, მისი ნამდვილობა მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით არ შეიძლება დადგინდეს. თუმცა, მოწმეთა ჩვენებით, შესაძლებელია, გადაცემული თანხის მიზნობრიობა დადასტურდეს. სასამართლო



პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეთა შორის მარტოოდენ თანხის გადაცემა დგინდება. ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელემ, რომელიც გადაცემული თანხის უკან დაბრუნებას ითხოვს, უნდა ადასტუროს, რომ თანხის გადაცემა სესხის ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა⁶. თუ მოსარჩელემ სესხის ხელშეკრულების არსებობა ვერ

დაადასტურა, მაშინ მოწინააღმდეგე მხარემ უნდა ამტკიცოს მისი მიღების სამართლებრივი საფუძვლის არსებობა, მაგალითად, ჩუქება, დავალების, ნასყიდობის, ნარდობისა, თუ სხვა სახის ხელშეკრულებათა საფუძველზე თანხის მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თანხა, როგორც საფუძვლის გარეშე გადაცემული, უსაფუძვლო გამ-

დიდრების ნორმებზე დაყრდნობით, უკან დაბრუნებას ექვემდებარება⁷.

ძალიან ხშირად, სესხის ხელშეკრულება სასამართლო პრაქტიკაში წერილობითი ფორმით არის წარმოდგენილი. თუ სესხის ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ სესხის თანხა უკვე გადაცემულია, ივარაუდება, რომ გამ-

სესხებელმა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, მსესხებლისათვის ფულის გადაცემის თაობაზე, შეასრულა, ხოლო თუ სესხის ხელშეკრულება არ შეიცავს დებულებას, რომლითაც სესხად შეთანხმებული თანხის გადაცემა დასტურდება, ასეთ ვითარებაში მსესხებელს, აღნიშნული სესხის ხელშეკრულების საფუძველზე სესხის თანხის მისთვის გადაცემის მოთხოვნის უფლება უჩნდება. წორედ აღნიშნული მსჯელობა ცხადყოფს, რომ სესხის ხელშეკრულება არა რეალური, არამედ კონსესუალური ხელშეკრულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ მას წინ უძღვის მხარეთა ნამდვილი ნების საფუძველზე გამოვლენილი თანხმობა სესხის არსებით პირობებზე, მიუხედავად მისი ზეპირი, თუ წერილობითი ფორმისა, სესხის ხელშეკრულება დადებული ითვლება და მხარეებს აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნები უჩნდებათ. რაც შეეხება მოთხოვნათა რიგითობას, ამ მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ სესხის ხელშეკრულება არ წარმოადგენს ორმხრივად მავალდებულებელ, სინალაგმატურ ხელშეკრულებას, როგორცაა, მაგალითად, ნასყიდობა, გაცვლა, ქირავნობა, მომსახურება, ნარდობა და ა. შ. სესხის ხელშეკრულება, მართალია, ორმხრივი ხელშეკრულებაა, თუმცა, თუ იგი უპროცენტოა, ის არასრულყოფილად მავალდებულებელ ხელშეკრულებად განიხილება⁸. შესაბამისად, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნათა თანმიმდევრობა სესხის ხელშეკრულების არსის შესაბამისია, რაც იმას ნიშნავს, რომ მსესხებელს მხოლოდ მას შემდეგ წარმოეშობა ნასესხები თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება, თუ გამსესხებელმა შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და მსესხებელს თანხა ასესხა. ამდენად, გამსესხებლის მოთხოვნა სესხის უკან დაბრუნების თაობაზე უნდა შეიცავდეს მტკიცებას სესხის ხელშეკრულების არსებობისა და სესხის ხელშეკრულების საფუძველზე მსესხებლისათვის თანხის გადაცემის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამსესხებლის მოთხოვნა, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისა და გასესხებული თანხის დაბრუნების თაობაზე, არ დაკმაყოფილდება.

სესხის ხელშეკრულების არსებითი პირობები

სესხის ხელშეკრულების არსებით პირობას მსესხებლისათვის თანხის საკუთრებაში გადაცემა წარმოადგენს.

თანხის საკუთრებაში გადაცემა შეიძლება განხორციელდეს, როგორც „რეალაქტით“, ანუ თანხის ფაქტობრივ გადაცემით, ისე „გადაცემის აღიარებით“, ანუ იმის აღიარებით, რომ თანხა სესხად გადაცემულია.

თანხის საკუთრებაში გადაცემა შეიძლება განხორციელდეს, როგორც „რეალაქტით“, ანუ თანხის ფაქტობრივი გადაცემით, ისე „გადაცემის აღიარებით“, ანუ იმის აღიარებით, რომ თანხა სესხად გადაცემულია.

სესხის ხელშეკრულების საგანი გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის თანხის საკუთრებაში გადაცემაა. თანხის გადაცემა, როგორც წესი, აქტიურ ქმედებაში გამოიხატება. თანხა მსესხებელს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადაეცემა. თანხის სესხის სახით ხელზე (ნაღდი ანგარიშსწორების წესით) გადაცემისას, თანხის გადამცემმა, ანუ გამსესხებელმა უნდა ამტკიცოს თანხის მსესხებლისათვის გადაცემა, ასევე გადაცემული თანხის მიზნობრიობა, რასაც ორივე მხარე უნდა აწერდეს ხელს. საკმარისია ასევე გამსესხებლის ეგემმლარზე მსესხებლის ხელმოწერა, რაც სამყოფ მტკიცებულებად მიიჩნევა. რაც შეეხება უნაღდო ანგარიშსწორებას, გა-

დარიცხვის ქვითარში დანიშნულების ცალმხრივად მითითება, გადარიცხული თანხის სესხად კვალიფიკაციის მიზნებისათვის, საკმარისი საფუძველი არ არის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სესხის ხელშეკრულების შესაბამისად, თანხის საკუთრებაში გადაცემა შეიძლება თანხის არა რეალური გადაცემით, არამედ „გადაცემის აღიარებითაც“ განხორციელდეს. ასეთ შემთხვევაში, თანხის გადაცემა აქტიურ ქმედებაში კი არ გამოიხატება, არამედ ხდება აღიარება იმისა, რომ თანხა გადაცემულია. მაგალითისათვის, შესაძლებელია, რომ მყიდველს გამყიდველის, შემკვეთს მენარდის წინაშე და ა. შ. ჰქონდეს თანხის გადაცემის ვალდებულება, შესაბამისად, მხარეებმა გადასაცემ დავალიანებულ თანხაზე სესხის ხელშეკრულება გააფორმონ და შეთანხმდნენ, რომ შემკვეთს, მყიდველს მენარდის, გამყიდველის წინაშე, სესხის სახით, დავალიანება გააჩნია, რაც რეალურად, ნასყიდობის ან ნარდობის საფასურია, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათ დავალიანებულ თანხაზე, როგორც სესხის სახით დასაბრუნებელ თანხაზე, ისე შეთანხმდნენ. ასეთ შემთხვევაში, ძველი ვალდებულებისათვის გამოყენებული უზრუნველყოფა უცვლელი რჩება. მაგალითისათვის, „ა“-მ „ბ“-სგან საათი იყიდა, შესაბამისად, „ბ“-ს „ა“-სთვის ნასყიდობის თანხა უნდა გადაეხადა. „ა“-მ საათი გადასახდელი თანხის უზრუნველსაყოფად დაიტოვა (მფლობელობითი გირავნობა). „ა“ და „ბ“ შეთანხმდნენ, რომ „ბ“-ს მიერ დასაბრუნებელი თანხა სესხად ჩაითვლებოდა და მას პროცენტი დაერიცხებოდა. აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდება თუ არა; კერძოდ, საათი, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიება „ა“-ს თან დარჩება, თუ „ბ“ -ს მოთხოვნის საფუძველზე დაუბრუნდება. განსახილველ შემთხვევაში, უზრუნველყოფის საგანი უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება, რადგან პირველი ვალდებულების შეწყვეტა და ახალ ვალდებულებაზე შეთანხმება კი არ მოხდა, არამედ უკვე არსებული

ვალდებულების სესხად გარდაქმნა⁹. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ძველი ვალდებულების შეწყვეტას და ახლით მის ჩანაცვლებას, ძველი ვალდებულების მიმართ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება არ ნარჩუნდება¹⁰. ასეთ მაგალითად შეიძლება რეფინანსირება დასახელდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა რეფინანსირება იმ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა, რომლის უზრუნველსაყოფადაც ქონებები იპოთეკით ანდა გირავნობით დაიტვირთა. სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება მოვალემ შეიძლება ვალის აღიარების ხელწერილითაც აღიაროს. ამ შემთხვევაში, ყურადღება მიექცევა ვალის აღიარება კონსტიტუციურია, თუ დეკლარაციული. დეკლარაციულ ვალის აღიარებას კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს. იგი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის გამოვლინებად მიიჩნევა¹¹. შესაბამისად, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, მისი ნამდვილობისათვის კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვა საჭირო არ არის¹². დეკლარაციული ვალის აღიარება ახალ ხელშეკრულებას არ წარმოადგენს, შესაბამისად, იგი ახალი მოთხოვნის უფლებას არ წარმოშობს, არამედ იგი არსებული სამართალურთიერთობის ფარგლებში წარმოქმნილ მოთხოვნას აღიარებს¹³. ვალის კონსტიტუციური („აბსტრაქტული“) აღიარება კანონით მოწესრიგებული სამართალურთიერთობაა, კერძოდ, მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი აწესრიგებს. ასეთ შემთხვევაში, სახეზეა მხარეთა ნება, ახალი სამართალურთიერთობის ჩამოყალიბების თაობაზე. ვალის აღიარება კონსტიტუციურია, ანუ ვალდებულების შესრულების დამოუკიდებელ საფუძველს ქმნის, თუ ვალის აღიარება ისეთი შინაარსისაა, საიდანაც მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძვლის არსებობა დგინდება¹⁴.

სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა

სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის მნიშვნელოვანია, რომ სეს-

ხის ხელშეკრულება ნამდვილი ნების გამოვლენას უკავშირდებოდეს¹⁵. ქართული კანონმდებლობა მევახშეობის ცნებას არ იცნობს. თუმცა, სასაუბრო ენაზე მევახშეობა ფიზიკური პირების მიერ ფულის პროცენტით გასესხებას გულისხმობს. აღნიშნული ტერმინის ნეგატიური დატვირთვა იმით აიხსნება, რომ მევახშეობა, როგორც წესი, სესხის შეუსაბამოდ მაღალი პროცენტით გასესხებას უკავშირდება.

მნიშვნელოვანია, რომ სესხის ხელშეკრულება ნამდვილი ნების გამოვლენას უკავშირდებოდეს. ქართული კანონმდებლობა მევახშეობის ცნებას არ იცნობს. თუმცა, სასაუბრო ენაზე მევახშეობა

შედარების მიზნებისათვის, მევახშეობის ცნებას გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი ითვალისწინებს. კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომლითაც პირი სხვა პირის მძიმე მდგომარეობით, გამოუცდელით, გონივრული განსჯის უუწარობით ან ნების მნიშვნელოვანი სისუსტით იტყუება, ან სხვა პირის მძიმე მდგომარეობით, გამოუცდელით, გონივრული განსჯის უუწარობით ან ნების მნიშვნელოვანი სისუსტით აიძულებს ამ უკანასკნელს ვალდებულების შესრულების მოქმედების სანაცვლოდ მისადმი ან მესამე პირისადმი ქონებრივი სარგებლის შეპირებას ან შესრულებას, რომელიც ვალდებულების შესრულებასთან მიმართებით ამკარად არაპროპორციულია¹⁶. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, მევახშეობის ერთ-ერთი წინაპირობა შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის ამკარა შეუსაბამობაა. ხსენებული წინაპირო-

ბის არსებობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ცალკეული გარემოების გათვალისწინებით დგინდება, ამასთან, მხედველობაში მიიღება იმ დროისათვის ბაზრის მოქმედი წესები და იმ კონკრეტულ შემთხვევაში არსებული რისკები¹⁷. მაგალითისათვის, გერმანიის სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მევახშეობად სესხის ბაზარზე არსებული პროცენტის ორმაგი ოდენობა მიიჩნევა¹⁸. თუ ეკონომიკურ ერთიანობას რამდენიმე გარიგება ქმნის, მაშინ ცალკეული ზარალი ერთი მხარისათვის მთლიანობაში ჯამდება¹⁹. ამასთან, შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის ამკარა შეუსაბამობა მევახშეობის შემადგენლობას მარტო ოდენ იმ შემთხვევაში ქმნის, თუ სახეზე სუბიექტური კრიტერიუმებიცაა²⁰. მევახშეობის შემთხვევაში, აუცილებელია, განზრახი ბრალის არსებობა; შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის ამკარა შეუსაბამობის ცოდნა; ამასთან, დაზარალებულის მძიმე მდგომარეობით შეგნებულად სარგებლობა. მძიმე მდგომარეობაში კი, როგორც წესი, მეორე მხარის გამოუცდელიობა, გონივრული განსჯის უუწარობა ან ნების მნიშვნელოვანი სისუსტე იგულისხმება²¹. იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ არის სუბიექტური კრიტერიუმები, კერძოდ, ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით შეგნებულად სარგებლობა, რჩება იმის ალბათობა, რომ შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის მკვეთრი სხვაობის არსებობის პირობებში გარიგება ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგო აღმოჩნდეს²².

იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის ამკარა შეუსაბამობა და სარგებლის მიმღების განზრახი ქმედება არ იკვეთება, რითაც მან ხელშეკრულების მეორე მხარის „სისუსტით“ ბოროტად ისარგებლა, გარიგების ზნეობრიობის კონტექსტში შემოწმების საჭიროება დგება. ამ მიმართებით ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ დოქტრინა გარიგების ზნეობის საწინააღმდეგოდ მიჩნევის მიზნებისათვის შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის

სხვაობას საკმარისად არ მიიჩნევს და დამატებით კრიტერიუმად მეორე მხარის გასაკიცხვს ქმედებას ასახელებს. ამდენად, მარტოოდენ შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის სხვაობა ამორალურობის მოტივით გარიგების ბათილად ცნობის საფუძველს არ ქმნის, არამედ, ასეთ შემთხვევაში, სარგებლის მიმღებს გასაკიცხვი მოტივაცია უნდა გააჩნდეს. გასაკიცხვი მოტივაცია სუბიექტური კატეგორიაა და მისი მტკიცება სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ, კანონმდებელმა საბაზრო, თუ ინტელექტუალური ძალის მომეტების პირობებში სუსტ მხარეთა, ე.წ. მომხმარებელთა დასაცავად, პრეზუმფიცია დაუშვა, რაც იმას ნიშნავს, რომ როდესაც სახეზეა შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის სხვაობა, სარგებლის მიმღების გასაკიცხვი ქმედება პრეზუმირდება²³. აღნიშნული პრეზუმფიციის გაქარწყლება კი სარგებლის მიმღების ვალდებულება²⁴. მაგალითისათვის, უძრავი ქონების შეუსაბამოდ დაბალ ფასად შექენის შემთხვევაში, მყიდველის გასაკიცხვი მოტივაციის ვარაუდი იმსხვერვა, თუ მყიდველი დაამტკიცებს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროისათვის საბაზრო ფასის დასადგენად ექსპერტიზა ჩატარდა, თუმცა, მოგვიანებით აღნიშნული ექსპერტიზა არასწორი აღმოჩნდა²⁵. გასაკიცხვს ქმედებად მიიჩნევა, როდესაც გამსესხებელი გასესხებული თანხისათვის შეუსაბამოდ მაღალ პროცენტს აწესებს. „შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი“ შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ისეთი გარიგებები მიიღება მხედველობაში, როგორცაა, სესხის გაცემის მიზანი, პირობები, ვადა, უზრუნველყოფის ღონისძიება, მსესხებლის შემოსავალი, ქონებრივი მდგომარეობა და ა. შ. და ამავდროულად, სესხის გაცემის დროისათვის ბანკთა შორის აუქციონზე არსებული სესხის საშუალო საპროცენტო განაკვეთი. პროცენტი ყოველთვის შეუსაბამოდ მაღალია, როდესაც ის საშუალო საბაზრო საპროცენტო განაკვეთს 100%-ით აღემატება²⁶. მაშინ, როცა საკითხი შესრულებასა და საპირისპირო შესრულების შეუსაბა-

მობას ეხება, ხშირად ყურადღება ასევე ხელშეკრულების ტექსტსაც ექცევა, რომელიც, როგორც წესი, სტანდარტულ პირობებს შეიცავს. შესაბამისად, ამ დროს მოწმდება ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით მომხმარებლის მდგომარეობის შეუსაბამოდ გაუარესება ხომ არ ხდება. ამ მიმართებით მხედველობაში მიიღება და მომხმარებლის (მსესხებლის) მდგომარეობის შეუსაბამოდ დამძიმებად მიიჩნევა ვადაგადაცილებისათვის ბევრად უფრო მაღალი პროცენტი²⁷, ვადაგადაცილებისათვის შეუსაბამოდ მაღალი გადასახდელები, ჯარიმები, საკომისიოები²⁸, სესხის საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა ზედღებდ ორ ვა-

**დოქტრინა გარიგების
ზნეობის სანიშნავად
მიხედვის მიზნებისათვის
შესრულებასა და
საპირისპირო შესრულებას
შორის სხვაობას
საგარეო სექტორში არ მიიჩნევს და
დამატებით კრიტერიუმად
მეორე მხარის გასაკიცხვს
ქმედებას ასახელებს.**

დაგადაცილებაზე მსუბუქი დარღვევის საფუძველით²⁹ და. ა. შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გერმანული სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თუ შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის აშკარა შეუსაბამობაა, სარგებლის მიმღების გასაკიცხვი მოტივაცია იმთავითვე ივარაუდება. ფაქტების ამგვარი კონსტელაციის პირობებში კი გარიგება, როგორც ზნეობის საწინააღმდეგო, ბათილად მიიჩნევა. თუმცა, სარგებლის მიმღებს გასაკიცხვი მოტივაციის პრეზუმფიციის საწინააღმდეგოდ, უფლება აქვს, მტკიცებულებები წარადგინოს და მის არაკეთილსინდისიერებასთან და-

კავშირებით შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის აშკარა შეუსაბამობის გამო დაშვებული ვარაუდი გააქარწყლოს. აღნიშნული ვარაუდის გაქარწყლების დროს მხედველობაში კეთილსინდისიერი ქცევის დოქტრინა მიიღება, რომლის მიხედვითაც, სარგებლის მიმღების გაუარესებელი მოქმედება განზრახულს უთანაბრდება³⁰.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის გამოცდილება, მევახშეობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მევახშეობის მარეგულირებელი ნორმა ქართულ სამოქალაქო კანონმდებლობაში არ მოიძებნება, მაშინ როდესაც მევახშეობა და მევახშეობის მსგავსი გარიგებები საქართველოს რეალობაშიც მრავლადაა. ამ მიმართებით, საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, გერმანიის გამოცდილებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების განმარტების მიზნებისათვის, ეფექტურად იყენებს.

ქართული სასამართლო პრაქტიკა „შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის შეუსაბამო ურთიერთმიმართების პირობებში“ გარიგების ნამდვილობას სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის კონტექსტში ამოწმებს. იგივე სტანდარტს იყენებს, როდესაც მიიჩნევს, რომ სესხი შეუსაბამოდ მაღალ პროცენტად არის გაცემული. სასამართლო მაღალპროცენტისანი სესხის ნამდვილობას ზნეობრივი ქცევის მახასიათებლებით აფასებს და განმარტავს, რომ კანონის საფუძველზე საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი მორალური ღირებულებების დაცვა საზოგადოებაში არსებული შეხედულებებისა და სამართლის ნორმების ჰარმონიზაციის ნიშნად, ზნეობის საწინააღმდეგო ქმედებები დაკავშირებულია შესაბამის სამართლებრივ შედეგებთან და იგი ადამიანთა მიმართ არაერთი იძულებითი ღონისძიების გამოყენებას იწვევს. ზნეობის ნორმის დაუცველობა ადამიანთა მიერ გამოვლენილი ნების გაბათილებას



განაპირობებს. მისი საწინააღმდეგო შეთანხმებები არარაა და მათ არანაირი სამართლებრივი შედეგების დადგომა არ უკავშირდება. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ხშირად საზოგადოება ამორალურად ისეთ შემთხვევებს მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულების მხარეები ერთმანეთს ბევრად უფრო მძიმე მოთხოვნებს უწესებენ, ვიდრე ეს ყოველდღიურ ცხოვრებაში მართებულადაა მიჩნეული. მსგავსი მოთხოვნები საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებლობიდან არ გამომდინარეობს. პირიქით, ისინი საზოგადოების წევრთა უფლებებსა და ინტერესებს გაუმართლებლად ლახავს და ადამიანის არაერთი ღირებულების დაცვას უქმნის საფრთხეს. ასეთი სახის შემ-

თხვევად შეიძლება განუზომლად მაღალი საპროცენტო განაკვეთის დაკისრება ჩაითვალოს³¹.

სასამართლომ წლიური 72%-იანი სარგებელი, როგორც შეუსაბამოდ მაღალი, ზნეობის საწინააღმდეგოდ მიიჩნია, ბათილად ცნო და მისი ოდენობა 48%-მდე შეამცირა³². აღნიშნული განჩინებით, საკასაციო პალატამ, მართალია, დადგინილად ჩათვალა, ფაქტი მასზედ, რომ სადავო საპროცენტო სარგებელს მხარე ეთანხმებოდა და ამიტომაც ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, თუმცა, ფიზიკური პირი – მსესხებელი სასამართლომ მომხმარებლად მიიჩნია და განმარტა, რომ გამსესხებელი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა, ეკონომიკურად

უფრო ძლიერი მხარე იყო, შესაბამისად, უდავოა, რომ სესხის სარგებელი, სადავო ოდენობით, სწორედ მან განსაზღვრა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პირობას ფიზიკური პირი დაეთანხმა, ამით სამართლებრივი სურათი არ შეიცვალა, რადგანაც კასატორი სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგინილი ქცევის წესის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. თუ ვალდებულების შესრულების პირობები ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ უნდა განისაზღვროს, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა სამართლიანობის საფუძველზე უნდა მოხდეს. ამ შემთხვევაში, შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის აშკარა შეუსაბამობა იკვეთებოდა

და სარგებლის მიმღები არაკეთილ-სინდისიერად მოქმედებდა, კერძოდ, მან ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთი და მოსალოდნელი რისკები არ გაითვალისწინა და საბაზრო ძალაუფლება ბოროტად გამოიყენა. ყველა კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი სესხის წლიური სარგებლის 72%-ით განსაზღვრას საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად შეაფასებდა. საბოლოოდ, ხელშეკრულებით განსაზღვრული სარგებელი შემცირდა (წლიურ 48%-მდე)³³. იგივე პრაქტიკა შეინარჩუნა სასამართლომ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებათა საფუძველზე „გარდაქმნილი“ კრედიტის საპროცენტო სარგებლის 16%—მდე შემცირების თაობაზე და განმარტა, რომ ე.წ. საბანკო გარანტიიდან გარდაქმნილი კრედიტისათვის დაწესებული წლიური სარგებელი — 48%, კანონშესაბამისი იყო³⁴. სასამართლომ უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხზე დაწესებული წლიური 30%-იანი საპროცენტო სარგებელიც კანონისა და ამჟამინდელი ზნეობის შესაბამისად მიიჩნია. ამასთან, სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ შეთანხმებული საპროცენტო სარგებელი მხარეთა ნამდვილი ნების გამოვლენის შედეგს წარმოადგენდა, რადგან ხელშეკრულება სანოტარო წესით დამოწმდა, რა დროსაც ნოტარიუსმა ხელშეკრულების პირობები და მისი თანმდევი შედეგები მხარეებს განუმარტა³⁵. სასამართლო პრაქტიკით ასევე გამართლებულად იქნა მიჩნეული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმა, როდესაც მოთხოვნა სარგებლის ანდა მიუღებელი შემოსავლის დაკისრებაა და მხარეთა შორის სარგებელი შეთანხმებულია, ხოლო შეთანხმებული სარგებელი იმთავითვე შესაბამოდ მალაღობისა და მისი თანმდევი შედეგები მხარეებს განუმარტა³⁶. სასამართლომ უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხზე დაწესებული წლიური 30%-იანი საპროცენტო სარგებელიც კანონისა და ამჟამინდელი ზნეობის შესაბამისად მიიჩნია. ამასთან, სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ შეთანხმებული საპროცენტო სარგებელი მხარეთა ნამდვილი ნების გამოვლენის შედეგს წარმოადგენდა, რადგან ხელშეკრულება სანოტარო წესით დამოწმდა, რა დროსაც ნოტარიუსმა ხელშეკრულების პირობები და მისი თანმდევი შედეგები მხარეებს განუმარტა³⁵. სასამართლო პრაქტიკით ასევე გამართლებულად იქნა მიჩნეული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმა, როდესაც მოთხოვნა სარგებლის ანდა მიუღებელი შემოსავლის დაკისრებაა და მხარეთა შორის სარგებელი შეთანხმებულია, ხოლო შეთანხმებული სარგებელი იმთავითვე შესაბამოდ მალაღობისა და მისი თანმდევი შედეგები მხარეებს განუმარტა³⁶. სასამართლომ უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხზე დაწესებული წლიური 30%-იანი საპროცენტო სარგებელიც კანონისა და ამჟამინდელი ზნეობის შესაბამისად მიიჩნია. ამასთან, სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ შეთანხმებული საპროცენტო სარგებელი მხარეთა ნამდვილი ნების გამოვლენის შედეგს წარმოადგენდა, რადგან ხელშეკრულება სანოტარო წესით დამოწმდა, რა დროსაც ნოტარიუსმა ხელშეკრულების პირობები და მისი თანმდევი შედეგები მხარეებს განუმარტა³⁵. სასამართლო პრაქტიკით ასევე გამართლებულად იქნა მიჩნეული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმა, როდესაც მოთხოვნა სარგებლის ანდა მიუღებელი შემოსავლის დაკისრებაა და მხარეთა შორის სარგებელი შეთანხმებულია, ხოლო შეთანხმებული სარგებელი იმთავითვე შესაბამოდ მალაღობისა და მისი თანმდევი შედეგები მხარეებს განუმარტა³⁶.

გამოუცხადებლობის პირობებშიც, არ დააკისრა. სასამართლომ შეთანხმებული სარგებელი მხედველობაში არ მიღო და მოწინააღმდეგე მხარეს, მიუღებელი შემოსავლის სახით, წლიური 9% დააკისრა³⁶.

სასამართლომ წლიური 72%-იანი სარგებელი, როგორც შეუსაბამოდ მაღალი, ზნეობის საწინააღმდეგოდ მიიჩნია, გათილად ცნო და მისი ოდენობა 48%-მდე შეამცირა.

აღნიშნული პირობებით სესხის ხელშეკრულება არ დაიდებოდა, სასამართლო სესხზე შეთანხმებული საპროცენტო სარგებლის შესაბამოდ მაღალ ოდენობას გონივრულ ოდენობამდე ამცირებდა. თუმცა, ამ მიმართებით აღსანიშნავია საქართველოს უზენაესი სამართლოს 2019 წლის 12 ნოემბრის განჩინება, რომლითაც საკასაციო სასამართლო სააპელაციო პალატას ნაწილობრივ დაეთანხმა, სესხზე დარიცხული, წლიური 360%-იანი სარგებელი, ზნეობის საწინააღმდეგოდ მიიჩნია, და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, ბათილად ცნო. თუმცა, არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომელმაც კრედიტორის სასარგებლოდ, თვიური 2% — იანი სარგებელი (წლიური 24%), ამავე ხელშეკრულების

ფარგლებში კანონისა და ზნეობის შესაბამის სარგებლად ჩათვალა და შეინარჩუნა. აღნიშნულთან მიმართებით საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ხელშეკრულება, რომლითაც სესხისათვის შესაბამოდ მაღალი საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა, საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ღირებულებებს ეწინააღმდეგებოდა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით, უცილოდ ბათილი იყო. უცილოდ ბათილ გარიგებას კი სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება³⁷. მის ასეთად აღიარებას არც მხარის შეცვლა და არც მისი მხრიდან ბათილობის მოთხოვნა არ სჭირდება³⁸. ამდენად, საკასაციო პალატამ მოცემულ განჩინებაში დააფიქსირა თავისი სამართლებრივი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ შესაბამოდ მაღალი სარგებლის პირობებში დადებული სესხის ხელშეკრულება იმთავითვე მთლიანად ბათილია და არა მართლად შეთანხმებული შესაბამოდ მაღალი სარგებლის ნაწილში, რაც სხვა ნაწილში, თუნდაც სესხის ძირი თანხისა და გონივრული პროცენტის ფარგლებში, სესხის ნამდვილად მიჩნევის წინაპირობა ვერ გახდებოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადია, რომ სასამართლომ კანონში შესაბამისი ცვლილების განხორციელების გარეშე დაიწყო საპროცენტო სარგებლის რეგულირება და მისი არა კანონშესაბამისობის, არამედ ზნეობასთან შესაბამისობის შემოწმება. ვინაიდან ზნეობრივი კატეგორიები შეფასებითია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მრავალ სუბიექტურ ფაქტორთა და დაკავშირებული, კანონმდებელმა სესხზე დარიცხული პროცენტის საკანონმდებლო რეგულირება გადაწყვიტა და სესხზე დარიცხული პროცენტის მაქსიმალური ოდენობა განსაზღვრა. კერძო ავტონომიის ფარგლებში დადებული გარიგებების არსებობის პირობებში დაცული უნდა იქნეს ხელშეკრულების მონაწილე სუსტი მხარის ინტერესი, სწორედ აღნიშნული სულისკვეთება დაედო საფუძვლად 2016 წელს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლში განხორციე-

ლებულ ცვლილებებს, როდესაც მას მე-2 ნაწილი დაემატა და სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალურ ზღვრად 100 % განისაზღვრა. აღნიშნული ცვლილებები 2017 წლის 15 იანვარს შევიდა ძალაში, რომელიც მიზნად სასესხო/საკრედიტო ურთიერთობებში მომხმარებელთა უფლებების დაცვას ისახავდა. 2018 წლის 21 ივლისს ამავე მუხლში ცვლილება შევიდა და საპროცენტო სარგებლის მაქსიმალურ წლიურ ოდენობად 50% დაწესდა. ნორმის განმარტებით ბარათის თანახმად, დღეისათვის, როცა სესხებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, დაბალი ფინანსური განათლების პირობებში მოსახლეობისათვის საკუთარი ფინანსების მართვა რთულად დასაგეგმი აღმოჩნდა. შედეგად, საკმაოდ ხშირად ჭარბვალიანობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები მოსახლეობისთვის საკმაოდ მწვავე პრობლემად იქცა. განსაკუთრებით, ეს პრობლემა ბოლო წლებში გამწვავდა, როცა ბაზარზე ე.წ. ონლაინ სესხების გამცემი კომპანიები გამოჩნდნენ, რომლებიც, როგორც ჩვეულებრივი მეწარმეები, ყოველგვარი დამატებითი რეგულაციების გარეშე, ოპერირებენ. მათ გააჩინეს ბაზარზე სწრაფ და მარტივად ხელმისაწვდომ (საბუთების წარდგენის გარეშე) ფინანსებთან დაკავშირებით მოთხოვნა. აგრესიული მარკეტინგისა და ადამიანის იმპულსური ფსიქოლოგიის კომბინაციის პირობებში, ხშირად ადამიანები სესხის აღებაზე გადაწყვეტილებებს ისე იღებენ, რომ არც მათ რეალურ საჭიროებაზე ფიქრობენ და არც იმაზე, აღებული ფინანსური ტვირთის ზიდვას რამდენად შეძლებენ. როგორც სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული არაერთი კვლევა ცხადყოფს, მსგავსი სესხის აღების მიზნობრიობა შეიძლება იყოს ნებისმიერი — საჭმელი, გართობა, ტანსაცმელი, სესხის გადაფარვა. ხარჯები, გამოხატული საპროცენტო განაკვეთებში, მაღალია და შესაბამის ვებგვერდებზეც, ზოგჯერ, დაუფარავადაა მითითებული, თუმცა მსესხებელს აღნიშნული ხარჯის აღქმა უჭირს. პრობლემის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ნაწილობრივ გაუმჭვირვალე

დებულებების და მიზნობრივი სემანტიკის დაბალი ფინანსური განათლების პირობებში, „კეთილშობილი“ პროდუქტი, თავისი მთავარი არსის საპირისპიროდ ტრანსფორმირდება და სწრაფი, მოკლევადიანი სესხის ნაცვლად, შეუსაბამოდ მაღალი ხარჯებით დატვირთულ სესხად იქცევა. შედეგად, დღის წესრიგში, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, საკრედიტო ურთიერთობების დარეგულირების საკითხი დადგა³⁹.

მოყვანილი მსჯელობიდან ნათელია, რომ კანონმდებელმა შევსებობისა და შევსებობის მსგავსი გარიგებებიდან წარმოშობილი პრაქტიკული პრობ-

2018 წლის 21 ივლისს ამავე მუხლში ცვლილება შევიდა და საპროცენტო სარგებლის მაქსიმალური ოდენობა 50% დანუსდა.

ლემის გადასაწყვეტად საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელა და სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალურ ოდენობად, ჯერ 100%, ხოლო შემდეგ 50% განსაზღვრა. ცხადია, რომ საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებისთანავე ნებისმიერი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც კანონით დაწესებულ მაქსიმალურ ზღვარს აღემატება, უკანონოდ და შესაბამისად, ბათილად მიიჩნევა. კითხვის ნიშნის იწვევს საკითხი მასზე, აღნიშნული ოდენობის ქვევით ნებისმიერი საპროცენტო განაკვეთი კანონით დაწესებულ მაქსიმალურ ზღვარს აღემატება, უკანონოდ და შესაბამისად, ბათილად მიიჩნევა. კითხვის ნიშნის იწვევს საკითხი მასზე, აღნიშნული ოდენობის ქვევით ნებისმიერი საპროცენტო განაკვეთი კანონშესაბამისია და ის რაც კანონშესაბამისია, მისი მოხდა და ზნეობასთან შესაბამისობის შემოწმება აღარ უნდა მოხდეს, თუ შესაძლებელია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კანონის ფარგლებ-

ში შეთანხმებული სარგებლის მართლობიერება არა კანონშესაბამისობის კონტექსტში, არამედ ზნეობასთან თავსებადობის თვალსაზრისით შეფასდეს. ამ მიმართებით, ყურადღება შეიძლება გამახვილდეს რამდენიმე გარემოებაზე. კერძოდ, კანონში განხორციელებული ცვლილებით დადგენილია, რომ მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი. იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებაში უნდა მითითდეს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2016 წლის 29 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით, რომელიც 2017 წლის პირველ იანვარს ამოქმედდა, განისაზღვრა, რომ საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა 100% იყო, ხოლო ამავე მუხლში 2018 წლის 21 ივლისს განხორციელებული ცვლილებით, რომელიც 2018 წლის პირველ სექტემბერს ამოქმედდა, დადგინდა, რომ სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 50 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. აღნიშნული დანაწესი ვრცელდება ყველა სახის სესხზე, მათ შორის, იპოთეკით უზრუნველყოფილ სესხებზეც. ამდენად, 2017 წლის პირველ იანვრამდე სესხის საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა სამოქალაქო კოდექსით რეგულირებული არ იყო. 2017 წლის პირველი იანვრიდან 2018 წლის პირველ სექტემბრამდე გაცემული სესხებისათვის საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალურ ოდენობად კანონი 100%-ს ითვალისწინებს, ხოლო 2018 წლის პირველი იანვრიდან დადებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთის ოდენობა 50%-ს არ უნდა აღემატებოდეს. კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს უკუქვევითი ძალა არ აქვთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული. სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის დათქმა მასზე, რომ ამ მუხლის მოქმედება არ გავრცელდეს მის ამოქმედებამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე, საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული ცვლილებების გავრცელებას იმ ხელ-

შეკრულებებზე, რომლებიც აღნიშნული ცვლილებების ძალაში შესვლამდე დაიდო, დაუშვებელს ხდის, თუმცა, ასეთ შემთხვევაში, შეთანხმებული პროცენტის მართლზომიერება სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით, ზნეობისა და მორალის ფარგლებში მოწმდება, როგორც ამას სასამართლო ზემოთ განხილული პრაქტიკის შესაბამისად აკეთებდა. ამ მიმართებით, საგულისხმოა, რომ, ამ დროს, კანონმდებლობით შემდგომ კანონშესაბამისად აღიარებული საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა მხედველობაში მაინც მიიღება და აღნიშნულ ზღვარს მიღმა შეთანხმებული პროცენტი არა კანონშესაბამოდ, არამედ ზნეობის საწინააღმდეგოდ ცნობის წინაპირობა ხდება.

თუ სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის დანაწესის სიტყვა-სიტყვით მნიშვნელობას მივაქცევთ ყურადღებას, სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით საპროცენტო განაკვეთის ზღვრული ოდენობა დაწესდა. შესაბამისად, გამსესხებელმა არ უნდა გადააჭარბოს კანონით სესხისათვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალურ ზღვარს, თუმცა, აღნიშნული დანაწესი იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ გამსესხებელმა სესხი ყოველთვის წლიურ 50%-ში (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) უნდა გასცეს. უფრო მეტიც, აღნიშნული ოდენობის ფარგლებში, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლომ შეიძლება გამოყენებული საპროცენტო განაკვეთის ზნეობისადმი შესაბამისობა შეაფასოს, იმ გარემოებების მხედველობაში მიღებით, თუ ვინ არიან მხარეები, რა პირობებში და რა გარემოებების გათვალისწინებით გაიცა სესხი და ა. შ. ამდენად, კანონით საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვარის დაწესება თავისთავად არ გამოიციხება სასამართლოს უფლებას, რომ საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვარის ფარგლებში შეთანხმებული საპროცენტო სარგებლის ოდენობა, ყოველი კონკრეტულ შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, ზნეობრიობის კონტექსტში შეაფასოს. თუმცა, ამავედროულად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ის,

რაც კანონის შესაბამისად, პროცენტის დასაშვებ ოდენობად არის მიჩნეული, ძნელად თუ შეფასდება ზნეობის საწინააღმდეგოდ. ამ მიმართებით, მტკიცების ძალიან მაღალი სტანდარტი იქნება საჭირო, დაახლოებით ისეთი, როგორცაა, მაგალითად, დისკრიმინაციული მოპყრობის დადასტურება, ანდა მეორე მხარის „ეკონომიკური, თუ სოციალური სისუსტით“ ბოროტად სარგებლობა და ა. შ.. აღნიშნული მსჯელობის ნათელი შემთხვევა განვიხილოთ, როგორცაა, პროცენტის კანონისმიერი ზღვრის ფარგლებში, თუმცა, ანალოგიურ შემთხვევებთან შედარებით დისკრიმინაციულად მაღალი პროცენტით სესხის გაცემა, რადროსაც, მსესხებელი ადასტურებს, რომ მან სხვა ანალოგიურ სიტუაციაში მყოფ პირებთან შედარებით სესხი 2-ჯერ ძვირად, თვიური 4%-იანი სარგებლით მიიღო (წლიური 48%), მაშინ როდესაც სხვები, ამავე პირობებში, სესხს 2%-იანი სარგებლით იღებდნენ (წლიური 24%). ამგვარი მოპყრობის საფუძველი კი მართლედნ ის ფაქტი იყო, რომ მსესხებელს შეზღუდული შესაძლებლობების შილი ჰყავდა და სესხი უკიდურესად ესაჭიროებოდა, რის თაობაზეც გამსესხებელი ინფორმირებული იყო.

სამართლებრივი შედეგები

შეუსაბამოდ მაღალი საპროცენტო სარგებლის პირობებში დადებული სესხის ხელშეკრულების ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგია უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე დაყრდნობით სესხად გადაცემული თანხის უკან დაბრუნება. ვინაიდან შეუსაბამოდ მაღალი სარგებლის ბენეფიციარი სესხის გამცემი იყო და არა სესხის მიმღები, ამიტომ სესხის ხელშეკრულების ბათილად ცნობით, მას (სესხის მიმღებს) სესხის ხელშეკრულების ვადაში სესხის თანხის ნაწილ-ნაწილ, როგორც ხელშეკრულებით უნდა დაებრუნებინა, იმ წესის შესაბამისად დაბრუნების ვალდებულება უნდა დაეკისროს, რათა სესხის ხელშეკრულების ბათილობით, იმ მხარის მდგომარეობა არ გაუარესდეს, რომელსაც სესხის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მიზნებისათვის,

ბრალი არ მიუძღვის⁴⁰. ამავედროულად მიიჩნევა, რომ იმ დროის განმავლობაში, ვიდრე მსესხებელი გამსესხებლის ფულით სარგებლობდა, მან ამისათვის პროცენტი უნდა გადაიხადოს, თუ აღნიშნული სესხით სარგებლობისათვის პროცენტი იმთავითვე შეთანხმებული იყო. რაღა თქმა უნდა, სესხის პროცენტი მართლედნ იმ ოდენობით იქნება გადასახდელი, რაც იმ კონკრეტულ შემთხვევაში, კანონისა და ზნეობის შესაბამისი იქნება⁴¹. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელს სესხის ხელშეკრულების დროისათვის იმაზე მეტი სარგებელი აქვს გადახდილი, ვიდრე კანონისა და ზნეობის შესაბამისი პროცენტის გადახდის პირობებში მოუწევდა, მას, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე დაყრდნობით, ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების ან შემდგომ გადასახდელში ჩათვლის უფლება აქვს⁴². ამ მიმართებით ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ შეუსაბამოდ მაღალი პროცენტის შემთხვევაში, ხელშეკრულების ბათილობის პირობებში, მსესხებლისათვის კანონისა და ზნეობის შესაბამისი პროცენტის დაკისრება, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, სადავოა⁴³. გაბატონებული აზრისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, მიიჩნევა, რომ შეუსაბამოდ მაღალი სარგებელი სესხის ხელშეკრულების ბათილობის წინაპირობაა, თუმცა, ნორმის დაცვითი ფუნქციიდან არ გამომდინარეობს გამსესხებლის იმგვარი დასჯა, რომ მან გასესხებული თანხისათვის კანონისა და ზნეობის შესაბამისი პროცენტიც არ მიიღოს⁴⁴. ეს წესი მევახშეობის შემთხვევებზე არ ვრცელდება, შესაბამისად, აქვე უნდა განიმარტოს, რომ სესხის ხელშეკრულებისა და შესაბამისად, აღნიშნული სესხისათვის შეთანხმებული პროცენტის ბათილად ცნობა, პირვანდელი მდგომარეობის უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე დაყრდნობით აღდგენა, ხოლო გამსესხებლის არამართლზომიერი ქმედების გამო მის მიმართ სადამსჯელო მექანიზმის გამოყენება, რაც მისი მხრიდან გასესხებულ თანხაზე სარგებლის მიღების უფლების დაკარგვას გულისხმობს, ადგილი უნდა ჰქონდეს არა მაშინ, როდესაც სახეზეა შესრულებასა და სა-



პირისპირო შესრულებას შორის არსებითი სხვაობა, არამედ მაშინ, როდესაც სესხის ხელშეკრულება, შეუსაბამო პირობებით მართლედნ იმის გამო დაიდო, რომ ხელშეკრულების ერთმა მხარემ მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით, გამოუცდელობით, გონივრული განსჯის უუნარობით ან ნების მნიშვნელოვანი სისუსტით ისარგებლა⁴⁵ (მევახშეობა). რაც შეეხება მართლედნ იმ შემთხვევას, როცა სახეზეა შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის სხვაობა, რა დროსაც სარგებლის მიმღები მხარე ხელშეკრულების აღნიშნული პირობებით დადების მართლზომიერებას ვერ დაადასტურებს, თუმცა, არც ის დგინდება, რომ იგი აღნიშნული სესხის დადების მიზნით მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით განზრახ მართლსაწინააღმდეგოდ

სარგებლობდა⁴⁶, ასეთ ვითარებაში, შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი ბათილობას არ ქმნის. მართალია, შესრულებისა და საპირისპირო შესრულებას შორის შეუსაბამობის დროს, არსებობს პრეზუმფცია, რომ ხელშეკრულების ის მხარე, რომელიც სარგებლის მიმღებია, გასაკიცხი მოტივაციით მოქმედებს, თუმცა, თუ სარგებლის მიმღები მხარე დაადასტურებს შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის აშკარა სხვაობის მიმართ მართლზომიერი საფუძვლის არსებობასა და მისი მხრიდან კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, ამგვარი შეუსაბამობის პირობებშიც, გარიგება ნამდვილად მიიჩნევა. იმ შემთხვევაში, თუ სარგებლის მიმღები მხარე, ვერ ახსნის და სათანადოდ ვერ დაასაბუთებს, თუ რა მართლზომიერი, თუ კეთილსინდისიერ

დასკვნა

რამდენადაც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის მსგავსი დებულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ მოიძებნება, ქართული სასამართლო მევახშეობასაც ამორალური, ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებათა კონტექსტში ამოწმებს, ამასთან, გერმანიის 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოცდილებას მევახშეობისათვის სამართლებრივი სიცხადის შესაძენად იყენებს. კერძოდ, მართლედნ შესრულებასა

რი სტანდარტებით შეიძლება გამართლდეს აღნიშნული შეუსაბამობა, გარიგება, როგორც ამორალური (ზნეობის საწინააღმდეგო) ბათილად ითვლება, რა დროსაც, გარიგების ერთი ნაწილის ბათილად ცნობა გარიგების სხვა ნაწილების, ანდა მთლიანი გარიგების ბათილობას არ იწვევს, თუ დადგინდა, რომ გარიგება მისი ბათილი ნაწილის გარეშე, დაიდებოდა. აღნიშნული მსჯელობის პრაქტიკული გამოვლინებაა სასამართლო პრაქტიკაში არსებული მაგალითები, როდესაც, შეუსაბამოდ მაღალი სარგებელი, მხოლოდ იმ ნაწილში გაბათილდა, რაც მისი შეუსაბამოდ მაღალ საპროცენტო განაკვეთად მიჩნევის წინაპირობა იყო, მაგალითისათვის, 72%-იანი სარგებელი 48%-მდე შემცირდა. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ მთლიანი ხელშეკრულება ბათილად მიიჩნევა და სესხის მიმღებს კანონის შესაბამისი პროცენტიც არ ეკისრება, თუ შეუსაბამოდ მაღალ პროცენტზე შეთანხმება, ამორალურობის იმ ზღვარს მიაღწევს, რომ სასამართლო სარგებლის მიმღები მხარის მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ მოქმედებას დაადგენს, რაც იმაში გამოიხატა, რომ მან ხელშეკრულების სუსტი მხარის მძიმე მდგომარეობით განზრახ ისარგებლა და თუ არა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობა, აღნიშნული ხელშეკრულება არ დაიდებოდა⁴⁸. ძალიან ხშირად გარიგებათა ამ ტიპს იძულებით, მოტყუებით დადებული გარიგებები განეკუთვნება, რა დროსაც, მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედ მხარეს აღნიშნული ხელშეკრულებიდან არანაირი სარგებლის მიღების უფლება არ აქვს. უფრო მეტიც, ნორმათა დაცვითი ფუნქცია მათგან გადაცემულის მათთვისვე უკან დაბრუნებასაც კი კრძალავს⁴⁹. თუმცა, სესხის შემთხვევაში, აღნიშნული დებულება რელევანტური ვერ იქნება, რადგან სესხის სახით გადაცემულ თანხაზე მსესხებელი საკუთრებას „დროებით“ და არა „მუდმივად“ იძენს, შესაბამისად, სესხის სახით გადაცემული თანხა, მიუხედავად, გამსესხებლის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედებისა, გარიგების ბათილობის პირობებში, უსაფუძვლო გამდიდრების

ნორმებზე დაყრდნობით, უკან დაბრუნებას ექვემდებარება⁵⁰.

ამდენად, ამორალურობის კონტექსტში ბათილ გარიგებებსაც თავისი გრადაცია აქვს. ამგვარი გრადაციის მაგალითად გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის დასახელება შეიძლება, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს, ბათილია. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად კი, ბათილია გარიგება, რომლითაც პირი სხვა პირის მძიმე მდგომარეობით, გამოუცდელით, გონივრული განსჯის უუნარობით ან ნების მნიშვნელოვანი სისუსტით აიძუ-

ის, რაც კანონის შესაბამისად, პროცენტის დასაშვებ ოდენობად არის მიჩნეული, ძნელად თუ შეფასდება ზნეობის საწინააღმდეგოდ. ამ მიმართებით, მტკიცების ძალიან მაღალი სტანდარტი იქნება საჭირო.

ლებს ამ უკანასკნელს ვალდებულების შესრულების მოქმედების სანაცვლოდ მისადმი ან მესამე პირისადმი ქონებრივი სარგებლის შეპირებას ან შესრულებას, რომელიც ვალდებულების შესრულებასთან მიმართებით აშკარად არაპროპორციულია. სწორედ 138-ე მუხლის მე-2 ნაწილი ქმნის მევახშეობის შემადგენლობას, სადაც ხელშეკრულებაში სარგებლის მიმღები მხარის გასაკიცხი მოტივაცია კი არ პრეზუმირდება, არამედ მისი განზრახვი მართლსაწინააღმდეგო ქმედება დგინდება, რაც იმაში ვლინდება, რომ სარგებლის მიმღები მხარე მეორე მხარის „სუსტი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, თუ ინტელექტუალური“

მდგომარეობით განზრახ, ბოროტად სარგებლობს და გარიგება, აღნიშნული პირობებით, მარტოდენ იმის წყალობით იდება, რომ მეორე მხარეს, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ნების მნიშვნელოვანი სისუსტე უვლინდება. სწორედ ფაქტების აღნიშნული თანხვედრა ქმნის მევახშეობის კონსტელაციას შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით, რა დროსაც, მარტოდენ შეთანხმებული პროცენტი კი არ ბათილდება, არამედ სესხის მთელი ხელშეკრულება და, ნორმათა დაცვითი ფუნქციიდან გამომდინარე, სარგებლის მიმღები მხარე (მევახშე) კანონშესაბამისი პროცენტის მიღების უფლებასაც კარგავს. აღნიშნული სამართლებრივი შედეგები არ უკავშირდება 138-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ბათილობას, რა დროსაც, გარიგების არაზნეობრივ ხასიათს მხოლოდ შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის აშკარა შეუსაბამობა განაპირობებს, ხოლო სარგებლის მიმღები მხარის მიმართ გასაკიცხი მოტივაცია მოქმედებს. ასეთ დროს, შეუსაბამოდ მაღალი პროცენტის ბათილობის პირობებში, გამსესხებელი კანონისა და ზნეობის შესაბამისი პროცენტის მიღების უფლებას არ კარგავს.

მითითებულ სამართლებრივ საკითხს თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ფარგლებში განვიხილავთ, აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის იმ რედაქციაზე, რომელიც 2012 წლის 8 მაისამდე არსებობდა. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის ცვლილებამდე რედაქციის მიხედვით, გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს, თუ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობა და გარიგება მხოლოდ იმის წყალობით დაიდო, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდელით (გულუბრყვილობით). ამდენად, ცალ-

სახაა, რომ მევახშეობის მარეველირებული ნორმის ანალოგს, 2012 წლის 8 მაისამდე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლი შეიცავდა. საკანონმდებლო ცვლილების გზით, აღნიშნული მუხლის ამოღებით მევახშეობის შემადგენლობა სხვა, უფრო ზოგადი მუხლის ქვეშ სუსუმირდება, კერძოდ, აღნიშნული ფაქტობრივი შემადგენლობით დადებული გარიგება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე

1 თ.ზამბახიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, მუხლი 623, <http://www.gccc.ge/>
 2 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 20.05.2016 გადაწყვეტილება, Nსს-1245-1168-2015
 3 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 14.12.2015 განჩინება, საქმეზე Nსს-361-343-2015
 4 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 20.06.2018 განჩინება, საქმეზე Nსს-285-2018
 5 *Brox/Walker*, Besonderes Schuldrecht, 27.Auflage, Verlag, C.H.Beck, s.193
 6 ქ.მესხიშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 385
 7 იქვე,გვ.526-527
 8 ი.კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გამოცემა, &320, ველი
 9 *Brox/Walker*, Besonderes Schuldrecht, 27.Auflage, Verlag, C.H.Beck, s.189
 10 *ibid.*194
 11 *Habersack*, Münchener Kommentar, BGB, &781, Rn.3
 12 *Esser/Weyers*, Schuldrecht Band II, Besnderer Teil, C.F. Müller, 1991, S.359
 13 *Esser/Weyers*, Schuldrecht Band II, Besnderer Teil, C.F. Müller, 1991, S.361
 14 *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, Band III/2, Besinderer Teil, C.H. Beck, München, 1994
 15 *Brox/Walker*, Besonderes Schuldrecht, 27.Auflage, Verlag, C.H.Beck, s.189
 16 გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 138
 17 ი.კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გამოცემა, &320, ველი
 18 BGH DB 1976,766

მუხლის შესაბამისად, ზნეობის საწინააღმდეგოდ მიიჩნევა და უცილოდ ბათილ გარიგებათა რეველირების რეჟიმში ექცევა. ამდენად, თუ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მევახშეობის ამსახველ ნორმას ცალკე დებულებად ითვალისწინებს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შედეგად, მევახშეობის ფაქტობრივი კონსტელაცია, ზოგადად, ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებათა რიგს განე-

19 BGHZ NJW, 1980, 1155
 20 *Brox/Walker*, Besonderes Schuldrecht, 27.Auflage, Verlag, C.H.Beck, s.194
 21 ი.კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2014, გვ.64
 22 იქვე, გვ.66
 23 BGH NJW 1984, 2292,2294 nach Brox/Walker, Besonderes Schuldrecht, 27.Auflage, Verlag, C.H.Beck, s.194
 24 Brox/Walker, Besonderes Schuldrecht, 27.Auflage, Verlag, C.H.Beck, s.194
 25 BGHZ NJW, 2002, 3165 nach Brox/Walker, Besonderes Schuldrecht, 27.Auflage, Verlag, C.H.Beck, s.194
 26 BGHZ NJW, 104, 105 nach Brox/Walker, Besonderes Schuldrecht, 27.Auflage, Verlag, C.H.Beck, s.194
 27 *Brox/Walaker*, Besonderes Schuldrecht, 27.Auflage, Verlag, C.H.Beck, s.194
 28 BGH NJW 1983, 115, nach Brox/Walker, Besonderes Schuldrecht, 27.Auflage, Verlag, C.H.Beck, s.194
 29 BGH NJW 1985, 1305, nach Brox/Walker, Besonderes Schuldrecht, 27.Auflage, Verlag, C.H.Beck, s.194
 30 BGH NJW, 1983, 1420, 1423; NJW, 1989, 3217, 3218; დეტალურად იხ.*MiKo-Schwab*, Rn. 69 ff.
 31 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.11.2018 განჩინება, საქმეზე Nსს-1146-2018
 32 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 28.07.2015 განჩინება, საქმეზე N სს-663-629-2015
 33 იხ.იქვე
 34 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.11.2017 განჩინება, საქმეზე Nსს-894-834-2017
 35 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.05.2019 განჩინება, საქმეზე N სს-

კუთვნება. ნორმის განმარტების მიზნებისათვის კი, სარგებლის მიმღები მხარის ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ხარისხის გათვალისწინებით, სამართლებრივი შედეგის დიფერენცირება ხდება, რა დროსაც, განმარტების მიზნებისათვის, დიდწილად იმ ქვეყნის ნორმატიული წყარო გვეხმარება, რომელიც ქართული სამოქალაქო კოდექსის ამგვარი ფორმით არსებობის ინსპირაცია გახდა.

248-2019
 36 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 30.06.2017 განჩინება, საქმეზე Nსს-408-381-2017
 37 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.11.2018 განჩინება, საქმეზე Nსს-1146-2018
 38 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 28.07.2015 განჩინება, საქმეზე N სს-663-629-2015
 39 იხ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს 12.02.2020 განჩინება, საქმეზე N2ბ/2807-19
 40 *Brox/Walker*, Besonderes Schuldrecht, 27.Auflage, Verlag, C.H.Beck, s.194
 41 BGH NJW 1983, 1420, 1422 f.nach Brox/Walker, Besonderes Schuldrecht, 27.Auflage, Verlag, C.H.Beck, s.197
 42 *ibid.* s. 197
 43 *D.Loochelders*, Schuldrecht, Besondere Teil, Crl Heimanns Verlag,S.138
 44 *D.Medicus*, Bürgerliches Recht, Rn.700, nach D.Loochelders, Schuldrecht, Besondere Teil, Crl Heimanns Verlag,S.138
 45 შეესაბამება მევახშეობის შემადგენლობას გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (გსკ) 138.2 მუხლის მიხედვით.
 46 შეესაბამება მევახშეობის მსგავს შემადგენლობას გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (გსკ) 138.1 მუხლის მიხედვით.
 47 იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლი
 48 გერმანული სამართლის მიხედვით, სწორედ აღნიშნული ტიპის ხელშეკრულებებს განეკუთვნება მევახშეობა, გათვალისწინებული გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის მე-2 ნაწილით.
 49 იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილი „დ“ ქვეპუნქტი
 50 *D.Loochelders*, Schuldrecht, Besondere Teil, Crl Heimanns Verlag,S.138



2 019 წლის 15 მარტს, ქ. თბილისში დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასთან დაკავშირებით არსებობდა პოზიტიური მოლოდინები ქალაქის სამომავლო სწორი განაშენიანების კუთხით, თუმცა მისი დამტკიცების შემდეგ უფრო აქტუალური გახდა გენერალური გეგმის უარყოფითი გავლენის შეფასება კერძო მესაკუთრეების და ინვესტორების უფლებებზე, რომლებიც ამა თუ იმ ტერიტორიის სამშენებლო განვითარებას გეგმავდნენ და ამ მიზნით განხორციელებული ჰქონდათ გარკვეული იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებები, იმ ნაკვეთებზე ან/და უძრავ ქონებაზე, რომელიც 2019 წლის 15 მარტამდე არსებული რეგულაციებით სამშენებლოდ ვარგის ნაკვეთებს წარმოადგენდა.

უპირველესად, როდესაც პრობლემებზე ვსაუბრობთ, უნდა გამოვყოთ ის ძველი რეგულაციების მიხედვით სამშენებლოდ ვარგისი მიწის ნაკვეთები, რომლებიც ახალი გენერალური გეგმით მოექცა ისეთ ფუნქციურ ზონებში, სადაც გამორიცხულია სამშენებლო განვითარება. ამის თვალსაჩინო მაგალითია, გლდანის ტბის და თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიები, ასევე, კოჯრის გარკვეული ტერიტორიები, რომლებიც ძველი გენგეგმით განსაზღვრული იყო როგორც დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონები ან/და ისეთი რეკრეაციული ზონები, სადაც შესაძლებელი იყო კერძო სახლების მშენებლობა, მაგრამ ახალი რეგულაციებით ეს ტერიტორიები მოექცა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო, სატყეო ან/და ისეთ სარეკრეაციო ზონებში სადაც დაუშვებელია მშენებლობა. გამკაცრებულ ფუნქციურ და უფლებრივ ზონირებას, საფუძვლად არ დადებია ტერიტორიაზე არსებული რეალური განაშენიანების ანალიზი, რადგან არსებობს უამრავი პრეცედენტი (იმავე კოჯორში, გლდანის ტბის, თბილისის ზღვის, ლისის ტბის და ა.შ.), რომლითაც დასტურდება, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ახალი გენერალური გეგმის მიღებამდე იმავე ტერიტორიაზე მიღებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტები ან/და ნორმატიული ხასიათის ცვლი-

ლებები, რომლებიც მათთვის ადგენდა ქალაქლამშენებლობით პირობებს და იძლეოდა საცხოვრებელი ან/და სხვა ფუნქციით განვითარების შესაძლებლობას, ან/და შესაბამისი ნორმატიული აქტით ახდენდა ისეთი ფუნქციური ზონის დადგენას, სადაც შესაძლებელია მშენებლობა. ამ გადაწყვეტილებების არსებობის პარალელურად ახალი გენერალური გეგმით დაწესებული შეზღუდვები, ქმნის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლით დადგენილი კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დარღვევის მაგალითებს. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის მიხედვით კი, დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე, მათთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. ასევე, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება. მოცემულ შემთხვევაში კი, ახალი გენერალური გეგმით ამ ნაწილში სრულიად უგულვებელყოფილია სამშენებლოდ შეზღუდულ ტერიტორიებზე უკვე არსებული ფაქტობრივი განაშენიანება, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ახალი გენგეგმის ამოქმედებამდე ადმინისტრაციული ორგანოს სხვადასხვა გადაწყვეტილებების საფუძველზე განხორციელდა.

მსგავს საკითხებზე საინტერესოა პოლონელი მეცნიერების ნაშრომ — „სივრცითი დაგეგმვის სამართალში“ („Prawo zagospodarowania przestrzeni“, Maciej Kruś, Zbigniew Leoński, Marek Szewczyk, Wolters Kluwer Polska SA, 2012, გვ.27) გამოთქმული მოსაზრება, სადაც აღნიშნულია, რომ ქალაქგეგმარებითი დოკუმენტების მიღებისას, როდესაც ხდება კონკრეტული ადგილობრივი გეგმების და მიწათსარგებლობის გეგმების დამტკიცება და უფლებრივი ზონირება, თუკი იგი მოიცავს კერძო საკუთრებას და მასზე მშენებლობის უფლების

შეზღუდვას, ეს ფაქტი უნდა განხილულ იქნეს კერძო საკუთრების უფლების შეზღუდვის ერთ-ერთ ფორმად. თუ ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტილება უძრავი ქონების გამოყენების შესაძლებლობას აკნინებს და აზიანებს, ეს ფაქტი უნდა გავუთვლოთ უძრავი ქონების ირიბ და ფაქტობრივ ექსპროპრიაციას, რადგან კონსტიტუციის შესაბამისად, იგი უფლების კანონიერი შეზღუდვის ერთ-ერთი ფორმაა. ცხადია მსგავსი შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს თანაზომიერების პრინციპს და საზოგადოებისთვის სასარგებლო მიზნებს. მოცემულ მოსაზრებაში, ყველაზე საინტერესო სწორედ ისაა, რომ ვეროპული მეცნიერები გენერალური გეგმით სამშენებლო ნაკვეთის არასამშენებლო სტატუსში გადაყვანას „ირიბ“ ექსპროპრიაციას უთანაბრებენ, აქ კი ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ თუკი ექსპროპრიაცია საქართველოს კონსტიტუციით და შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციებით დადგენილი პროცედურით მიმდინარეობს, იგი გამორიცხავს მესაკუთრის ინტერესის და სამართლიანი ანაზღაურების გარეშე საკუთრების უფლების შეზღუდვას/ჩამორთმევას — გენერალური გეგმის შემთხვევაში საკუთრების უფლების შეზღუდვის და დამდგარი ზიანის ოდენობის მტკიცების ტვირთი თავად მესაკუთრის მხარესაა, რაც მნიშვნელოვნად აუარესებს მის სამართლებრივ მდგომარეობას. თუკი ექსპროპრიაციის შემთხვევაში მესაკუთრე შესაბამის კომპენსაციას მიიღებდა საკუთრების უფლების ჩამორთმევიდან გონივრულ ვადაში, გენერალური გეგმის შედეგად საკუთრების უფლების ხელყოფის შემთხვევაში სასამართლო დავები შესაძლოა რამდენიმე წელიწადი გაგრძელდეს. სწორედ ამ ფაქტობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით, გენერალური გეგმის შედეგად მიწის ნაკვეთის არასამშენებლო კატეგორიაში გადაყვანას უწოდებენ „ირიბ“ ექსპროპრიაციას, როდესაც საკუთრების უფლება რეალურად ხელყოფილია, თუმცა არაა დაცული ამისთვის საქართველოს კონსტიტუციით და კანონებით დადგენილი პროცედურები, რაც შედეგობრივად საკუთრების უფლებაზე უფრო მძიმე ზემოქმედებად უნდა შეფასდეს, ვიდრე თავად ექსპროპრიაციაა, რადგან ამ

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაძლო უარყოფითი გეგავლენა საკუთრების უფლებაზე და მისი დაცვის საშუალებები



ავტორი: უნა ზაქაშვილი
სამართლის დოქტორი, ადვოკატი

უკანასკნელ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ აღიარებული და დადასტურებულია ეს ფაქტი, გენგვემის შემთხვევაში, საკუთრების უფლების შეზღუდვის დადასტურება მტკიცების საგანია.

სტატიაში განხილული საკითხების კონტექსტში საინტერესოა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის ანალიზიც, რომელიც ადგენს, რომ: „თუ საზოგადოებრივი აუცილებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ არსებითი ზიანი ადგება მხოლოდ რომელიმე კერძო პირს ან პირთა ჯგუფს, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიყენებული ზიანი.“ მოცემული მუხლის ანალიზიც ცხადყოფს, რომ გენერალური გვეგით საკუთრების უფლების შეზღუდვის ფაქტის გამო ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტამდე უნდა დადგინდეს თავად ზიანის დადგომის ფაქტი, ასევე, რამდენად არსებითია იგი.

ამასთან, უნდა დადგინდეს გენერალური გვეგის შედეგად წარმოშობილი ხელყოფა არის თუ არა თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგო – შესაბამისად, როგორც ზემოთაც განმარტეთ, განსხვავებით ექსპროპრიაციისგან, გენერალური გვეგის შემთხვევაში მტკიცების უფრო მაღალი და რთული სტანდარტის დაკმაყოფილებაა საჭირო დაზარალებული მესაკუთრის მხრიდან, ასევე, პროცედურულაც ბევრად მეტი ვადაა საჭირო მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, რაც ცხადია, ვერ შეფასდება რეველანტურ სამართლებრივ გარანტიად მიწის ნაკვეთის მესაკუთრის საკუთრების უფლების დაცვის მიზნებისთვის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ გენერალური გვეგის დანართი №6, გარდა სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობაზე ხაზგასმისა, შეიცავს გარკვეულ სარეკომენდაციო წინადადებებს, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია სამართლებრივი შესაძლებლობა დაზარალებული კერძო მესაკუთრეები და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი სასამართლო დავის გარეშე შეთანხმდნენ ზიანის ანაზღაურებაზე. ამ მიზნით, დანართი №6-ი შეიცავს შემდეგ სარეკომენდაციო დათქმებს, რაც შესაძლოა მხედველობაში მიღებულ იქნეს ზიანის ანაზღაურების საკითხების გადაწყვეტისას იმ შემთხვევაში თუ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი დაეთანხმება ზიანის არსებობის და მისი ანაზღაურების ვალდებულებას:

ზიანის ოდენობა უნდა შეფასდეს ერთობლივად (დაზარალებული მესაკუთრის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის) შერჩეული ექსპერტის ან აუდიტორის მიერ. შეფასების ხარჯები თავდაპირველად უნდა გაიღოს დაინტერესებულმა პირმა, თუმცა შემდგომში ეს ხარჯი ზიანის ოდენობასთან ერთად უნდა ანაზღაურდეს მუნიციპალიტეტის მიერ.

ზიანის ოდენობა შესაძლებელია დადგინდეს ვადა. ეს ვადა არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები, რათა მუნიციპალიტეტმა მოახერხოს სახსრების მომავალი საბიუჯეტო წლისთვის მობილიზება.

**ბანსხვაგვებით
ექსპროპრიაციისგან,
გენერალური გვეგის
შემთხვევაში მტკიცების
უფრო მაღალი და
რთული სტანდარტის
დაკმაყოფილებაა
საჭირო დაზარალებული
მესაკუთრის მხრიდან.**

ზიანის ოდენობა შესაძლებელია დადგინდეს დაინტერესებულ პირსა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს შორის შეთანხმებითაც. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმებით ასანაზღაურებელი თანხა ნაკლებია ექსპერტის ან აუდიტორის შეფასებაზე, ანაზღაურება უნდა მოხდეს 1 წელზე ნაკლებ ვადაში, რითაც

ზიანის ოდენობა შესაძლებელია დადგინდეს ვადა. ეს ვადა არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები, რათა მუნიციპალიტეტმა მოახერხოს სახსრების მომავალი საბიუჯეტო წლისთვის მობილიზება.

ზიანის ოდენობა შესაძლებელია დადგინდეს ვადა. ეს ვადა არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები, რათა მუნიციპალიტეტმა მოახერხოს სახსრების მომავალი საბიუჯეტო წლისთვის მობილიზება.

ზიანის ოდენობა შესაძლებელია დადგინდეს ვადა. ეს ვადა არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები, რათა მუნიციპალიტეტმა მოახერხოს სახსრების მომავალი საბიუჯეტო წლისთვის მობილიზება.

ზიანის ოდენობა შესაძლებელია დადგინდეს ვადა. ეს ვადა არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები, რათა მუნიციპალიტეტმა მოახერხოს სახსრების მომავალი საბიუჯეტო წლისთვის მობილიზება.

ზიანის ოდენობა შესაძლებელია დადგინდეს ვადა. ეს ვადა არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები, რათა მუნიციპალიტეტმა მოახერხოს სახსრების მომავალი საბიუჯეტო წლისთვის მობილიზება.

ზიანის ოდენობა შესაძლებელია დადგინდეს ვადა. ეს ვადა არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები, რათა მუნიციპალიტეტმა მოახერხოს სახსრების მომავალი საბიუჯეტო წლისთვის მობილიზება.

ზიანის ოდენობა შესაძლებელია დადგინდეს ვადა. ეს ვადა არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები, რათა მუნიციპალიტეტმა მოახერხოს სახსრების მომავალი საბიუჯეტო წლისთვის მობილიზება.

ზიანის ოდენობა შესაძლებელია დადგინდეს ვადა. ეს ვადა არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები, რათა მუნიციპალიტეტმა მოახერხოს სახსრების მომავალი საბიუჯეტო წლისთვის მობილიზება.

ზიანის ოდენობა შესაძლებელია დადგინდეს ვადა. ეს ვადა არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები, რათა მუნიციპალიტეტმა მოახერხოს სახსრების მომავალი საბიუჯეტო წლისთვის მობილიზება.

ზიანის ოდენობა შესაძლებელია დადგინდეს ვადა. ეს ვადა არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები, რათა მუნიციპალიტეტმა მოახერხოს სახსრების მომავალი საბიუჯეტო წლისთვის მობილიზება.

ზიანის ოდენობა შესაძლებელია დადგინდეს ვადა. ეს ვადა არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები, რათა მუნიციპალიტეტმა მოახერხოს სახსრების მომავალი საბიუჯეტო წლისთვის მობილიზება.

**მსგავსი რეკომენდაციების
არსებობა იმ ნორმატიულ
დოკუმენტში, რომლის
თავადაა კერძო
საკუთრების ხელყოფის
გამომწვევი, ძალიან
მნიშვნელოვანია,
მაგრამ მისი პრაქტიკაში
გამოყენება გენერალური
გვეგის მიღებისთანავე
1 წლის შემდეგ არ
დამდგარა დღის წესრიგში.**

ზიანის ოდენობა შესაძლებელია დადგინდეს ვადა. ეს ვადა არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები, რათა მუნიციპალიტეტმა მოახერხოს სახსრების მომავალი საბიუჯეტო წლისთვის მობილიზება.

ზიანის ოდენობა შესაძლებელია დადგინდეს ვადა. ეს ვადა არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები, რათა მუნიციპალიტეტმა მოახერხოს სახსრების მომავალი საბიუჯეტო წლისთვის მობილიზება.

ზიანის ოდენობა შესაძლებელია დადგინდეს ვადა. ეს ვადა არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები, რათა მუნიციპალიტეტმა მოახერხოს სახსრების მომავალი საბიუჯეტო წლისთვის მობილიზება.

ზიანის ოდენობა შესაძლებელია დადგინდეს ვადა. ეს ვადა არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები, რათა მუნიციპალიტეტმა მოახერხოს სახსრების მომავალი საბიუჯეტო წლისთვის მობილიზება.

მინიმალური ფართობი: 250 კვ.მ, მინიმალური სიგანე 9მ. მინიმალური სიგრძე 15მ. დასაშვები შენობის სიმაღლე 15მ. კ1 კოეფიციენტი = 0.5, კ2 კოეფიციენტი = 1.5. რაც შეეხება იგივე სტანდარტებს საცხოვრებელი ზონა 6-ისთვის, იგი შეადგენს: მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი: 700 კვ.მ, მინიმალური სიგანე 20მ. მინიმალური სიგრძე 30მ. შენობის დასაშვები სიმაღლე – ულიმიტო. კ1 კოეფიციენტი = 0.5, კ2 კოეფიციენტი = 2.5.

ამ მოთხოვნების ანალიზი ცხადყოფს, რომ ახალი გენერალური გეგმით მსგავსი პრეცედენტების დაშვება, როდესაც საცხოვრებელი ზონა 2-ის (ან სხვა ნებისმიერი დაბალი ინტენსივობის ზონის) საცხოვრებელ ზონა -6 -ად შეცვლა (ან ნებისმიერ მაღალ ინტენსივობის ზონად) ერთმნიშვნელოვნად აზიანებს იმ მესაკუთრეებს, რომლებმაც უძრავი ქონება შეიძინეს საცხოვრებელი ზონა-2 ის პარამეტრებით და უძრავი ქონება გააანაშენიანეს ამავე ზონისთვის დამახასიათებელი სტანდარტებით, რადგან სურვილის შემთხვევაშიც კი ისინი მოკლებულნი

საცხოვრებელი ზონა 2-ის (ან სხვა ნებისმიერი დაბალი ინტენსივობის ზონის) საცხოვრებელ ზონა -6 -ად შეცვლა (ან ნებისმიერ მაღალ ინტენსივობის ზონად) ერთმნიშვნელოვნად აზიანებს იმ მესაკუთრეებს, რომლებმაც უძრავი ქონება შეიძინეს საცხოვრებელი ზონა-2 ის პარამეტრებით და უძრავი ქონება გააანაშენიანეს ამავე ზონისთვის დამახასიათებელი სტანდარტებით,

არიან შესაძლებლობას, ისარგებლონ ინტენსივობის ზრდის შედეგად დადგენილი გაზრდილი პარამეტრებით. მაგალითად, თუკი საცხოვრებელ ზონა 2-ში, ა-მ შეიძინა 300 კვ.მ მიწის ნაკვეთი და ააშენა 2 სართულიანი სახლი, ხოლო მოგვიანებით ეს და მიმდებარე ტერიტორია მოექცა საცხოვრებელ ზონა 6-ში, ა ვერ შეძლებს საკუთარ შენობას დაამატოს სართულები და ან გაზარდოს ფართობი, რადგან იგი ვერ აკმაყოფილებს გაზრდილი ინტენსივობის რეალიზაციისთვის საჭირო წინაპირობას მიწის ნაკვეთის მინიმალურ ფართობთან დაკავშირებით, რაც ფუნქციური ზონის მახასიათებლებით განვითარების გამომრიცხველი არგუმენტია. თუმცა ა-ს მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთი, რომელზეც ვერ არ მომხდარა განაშენიანება და რომელიც აკმაყოფილებს საცხოვრებელი ზონა-6-ის სტანდარტებს, იღებს შესაძლებლობას განვითარდეს გაზრდილი ინტენსივობით, კერძოდ, ა-ს 2 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მომიჯნავედ ააშენოს მაგ. 12 სართულიანი კორპუსი. ამდენად, ამ შემთხვევაში ა-ს ქონება ერთმნიშვნელოვნად განიცდის გაუფასურებას, რადგან ბუნებრივია საცხოვრებელი სახლის ღირებულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გარემოზე, ხედზე, მდებარეობაზე და თუ იგი კორპუსებს უკავშირდება, მისი საბაზრო ღირებულება მცირდება დაახლოებით 20-25%-ით მაინც (აღნიშნული დასტურდება მსგავსი ტიპის საქმეზე განხორციელებული კვლევების შედეგად გაცემული აუდიტორული დასკვნებით).

ასეთ ტერიტორიაზე მოქცეული კერძო სახლები ძველი რეგულაციების შესაბამისად წლების მანძილზე ვითარდებოდა დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონის პარამეტრებით. ეს ნიშნავს, რომ მათ მესაკუთრეებს იმ შემთხვევაშიც კი თუ მათი ნაკვეთები დააკმაყოფილებენ გაზრდილი ინტენსივობის შედეგად წარმოშობილ ახალ მოთხოვნებს, ნაკვეთების მინიმალური ფართობის და კონფიგურაციის სტანდარტებს, მათ მაინც არ რჩებათ პრაქტიკული შესაძლებლობა განვითარდნენ მაღალი ინტენსივობის

საცხოვრებელი ზონის პარამეტრებით მნიშვნელოვანი ზიანის დადგომის გარეშე, რასაც არსებული შენობების დანგრევის გარდაუვალობა განაპირობებს. პრაქტიკული მაგალითების ანალიზის მიხედვით, ეს შესაძლებლობა კერძო მესაკუთრეების უმრავლესობისთვის მიუღებელია, რადგან მათ საცხოვრებლად შეარჩიეს სწორედ დაბალი ინტენსივობის ტერიტორიები და ისინი ამ მოცულობის ინვესტიციებს არ განახორციელებდნენ იმ შემთხვევაში თუ ექნებოდათ ინფორმაცია, რომ მათ მომიჯნავედ მომავალში შესაძლებელი გახდებოდა კორპუსების მშენებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორის აზრით, მსგავსი შემთხვევებიც პირდაპირ ზღუდავს საკუთრების უფლებას და მნიშვნელოვნად აუფასურებს უძრავ ქონებას. რა ტერმინიც არ უნდა



იქნეს გამოყენებული, ვუწოდებთ მასაც „ირიზ“ ექსპროპრიაციასაც თუ არა, მსგავსი ქალაქგეგმარებით გადაწყვეტილები პირდაპირ ლახავს მომიჯნავე ნაკვეთების საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ კერძო საკუთრების უფლებას (21-ე მუხლი) და ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლებას (37-ე მუხლი), ასევე, სრულად არღვევს საქართველოს კონსტიტუციით დაცულ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, რადგან დაბალ განაშენიანებაში სადაც მდებარეობს ხოლოდ კერძო სახლები (არაუმეტეს 8-10 მეტრის სიმაღლის) შეუზღუდავი სიმაღლის (რადგან საცხოვრებელ ზონა 5-ს და 6-ს ეს შეეძლება არ გააჩნიათ) შენობის აშენება, სრულად ხელყოფს ჩაუხედავობის პრინციპს და მომიჯნავე მესაკუთრეების პირადი ცხოვრების

ხელშეუხებლობის უფლებას, რადგან ელემენტარულად მათი ეზოები 15 მეტრზე მაღალი სიმაღლის შენობიდან ვიზუალური დაკვირვების არეალში ექცევა. ამ პირობებში კი, როდესაც მომიჯნავედ გაზრდილი პარამეტრების შედეგად შესაძლებელი ხდება მაგ. 40 მეტრის სიმაღლის შენობის მშენებლობა, ერთის მხრივ ეს იწვევს მომიჯნავე კერძო სახლებით განაშენიანებული ნაკვეთების ღირებულების გაუფასურებას და ასევე, ისინი კარგავენ ძირითად დანიშნულებას – ჰქონდეთ ჯანმრთელობისთვის უვნებელი გარემო, განტვირთული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი განათებულობა, პირადი სივრცე. ამდენად, ესეთი შემთხვევებიც შეფასებულ უნდა იქნეს როგორც ზიანი და პრაქტიკაში ამ საკითხების განხილვისას მასზეც უნდა გავრცელდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხ-

ლით და გენერალური გეგმის №6 დანართით დადგენილი მოთხოვნები და რეკომენდაციები.

აღსანიშნავია, რომ გენერალური გეგმის მიერ მსგავსი ტიპის უარყოფითი გავლენის შეფასებაზე და კონკრეტულად ზიანის ფულადი კომპენსაციით აღიარების მიმართულებით ქართულ სასამართლოებს ჯერაც არ აქვთ ჩამოყალიბებული პრაქტიკა და ამდენად ბუნდოვანია, კონკრეტულად რა პერსპექტივა შეიძლება გააჩნდეს მსგავსი დავების წარმოებას. თუმცა, ის საკანონმდებლო დათქმები, რომლებიც ზემოთ მიმოვიხილეთ ქმნის საკმარის საფუძველს იმისთვის, რომ რეველანტური მტკიცებულებების წარდგენის შემთხვევაში დაცულ იქნას დაზარალებული მესაკუთრეების უფლებები.



**სამედიცინო მომსახურებით
მიყენებული ზიანის
ანაზღაურების კანონით
დადგენილი წინაპირობების
ასახვა ქართულ
სასამართლო პრაქტიკაში**

ავტორი: ნუნუ კვანტალიანი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი

შესავალი

ჭანმრთელობის დაცვის სფეროში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს პაციენტთა დარღვეული უფლების დაცვის სა- მართლებრივი საფუძვლები წარმო- ადგენს. ამ სფეროში, საქართველოს კანონმდებლობა პაციენტს სახელშეკ- რულეზო ურთიერთობებიდან ან/და დელიქტიდან გამომდინარე, ზიანის მიმყენებლის მიმართ სასამართლო- ში სარჩელის აღძვრის უფლებას აძ- ლევს¹. პაციენტს, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს ექიმს, ექთანს, მედიცინის სხვა მუშაკს ან სამედიცინო დაწესებულებას უჩივლოს სამედიცინო დაწესებულებ- ბის ადმინისტრაციაში, სასამართლო- ში, ჯანმრთელობის დაცვის მართვის ან დავის გამრჩევ სხვა ორგანოში². ვალდებულების წარმოშობას განაპი- რობებს პაციენტის უფლებების დარ- ღვევა, მცდარი სამედიცინო ქმედება ან/და სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირების ხარვეზები. პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართ- ლოს და მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის კომპენსაცია, რომელიც გამოწვეულია: ა) პაციენტის უფლებების დარღვევით; ბ) მცდარი სამედიცინო ქმედებით³. მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათ- ვის მიყენებული ზიანი სამოქალაქო წესით ანაზღაურდება. სამოქალაქო-

სამართლებრივი პასუხისმგებლობის და ზიანის ოდენობის სწორად დადგე- ნისათვის აუცილებელია სამართლებ- რივი საფუძვლების კანონის შესაბამი- სად განსაზღვრა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკა სამედიცინო მომსახურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრების დაგებთან დაკავშირებით მოცულობითი არ არის (იმ ვითარებაში, როდესაც ცხოვრე- ბისეული პრაქტიკით პაციენტთა დი- დი ნაწილი პრეტენზიას გამოთქვამს სამედიცინო მომსახურების უარყო- ფით მხარეებზე, პარადოქსია, მაგრამ 2016-2019 წლებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გან- ხილულია 8 სამოქალაქო დავა⁴), ამ საკითხზე არსებული გადაწყვეტილე- ბების შესწავლით შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთგვაროვანი სასამარ- თლო პრაქტიკა ფაქტების მითითების, ზიანის ანაზღაურების წინაპირობების, მტკიცების ტვირთის განაწილების, ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ფარგლების განსაზღვ- რის საკითხებში.

**ზოგადად ზიანის
ანაზღაურების
წინაპირობების შესახებ**

სამედიცინო შეცდომით მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათ-

ვის ზიანის მიყენების გამო სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობები იგივეა, როგორც ყველა დელიქტურ ვალდებულებებში: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი (სსკ-ის 992-ე მუხლი). მათი თავისებურება სამედიცინო საქმიანობის ხასიათით განისაზღვრება. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ექიმის ან სამედიცინო დაწესებულების მიმართ პაციენტს შეიძლება წარმოეშვას, როგორც ხელშეკრულებიდან, ასევე დელიქტური ნორმებიდან. შეიძლება ექიმს იმ შემთხვევაშიც დაეკისროს პასუხისმგებლობა თუ მას არანაირი ხელშეკრულება არ გაუფორმებია პაციენტთან, გამომდინარე იქიდან, რომ მკურნალობის დაწყებით ექიმისათვის და არასამედიცინო (დამხმარე) პერსონალისათვისაც წარმოიშობა ვალდებულება, რომ კანონით დადგენილ ფარგლებში დაიცვან და შეინარჩუნონ პაციენტის ჯანმრთელობა. ექიმის მიერ ჩატარებული მცდარი მკურნალობა, როგორც წესი, ხელშეკრულების დარღვევაც არის და დელიქტიც. მოთხოვნის ორივე საფუძველი თანაბარია და შესაბამისად, მოთხოვნის დაფუძნება ორივე საფუძველზე ერთდროულად არის შესაძლებელი⁵.

დელიქტური სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი დავების განხილვისას საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა შემდეგი: სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, პირს ზიანის ანაზღაურება ეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ბრალი ზიანის მიმყენებელს მიუძღვის⁶.

ამდენად, სამედიცინო მომსახურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას, სასამართლომ ზიანის ანაზღაურების ოთხივე პირობის არსებობა უნდა დაადგინოს.

მართლწინააღმდეგობა

მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა არასათანადო სამედიცინო მომსახურება, რაც გულისხმობს სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ სამედიცინო საქმიანობის მარეგულირებელი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების დარღვევას. მედიცინის მუშაკის ქცევა მართლსაწინააღმდეგოა, თუ პაციენტს ზიანი მიადგა არსებული სტანდარტებისაგან გვერდის ავლით განხორციელებული სამედიცინო მომსახურებით⁷.

ქცევის მართლწინააღმდეგობა შეიძლება როგორც მოქმედებაში, ასევე

ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი ემსახურება არა ზიანის მიყენებლის დასჯას, არამედ იმ დანაკლისის შვსებას, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად სხვა პირს მიადგა.

უმოქმედობაში გამოიხატოს. ასე მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ პაციენტის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, მოპასუხემ მისი ჰოსპიტალიზაცია დროულად არ განხორციელა, პაციენტის საერთო მდგომარეობა, დაგვიანებული ჰოსპიტალიზაციის პირობებში (დაახლოებით 32-36 საათი), უკიდურესად მძიმე იყო, რის გამოც უარყოფითი დინამიკა საკმაოდ სწრაფად განვითარდა და სამედიცინო პერსონალის შემდგომი ქმედებები უშედეგო აღმოჩნდა, რის გამოც პაციენტი დაიღუპა⁸.

მცდარი სამედიცინო ქმედება გულისხმობს ექიმის მიერ უნებლიედ, პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო

დიაგნოზის ან/და სამკურნალო ღონისძიების ჩატარებას, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა⁹.

სამედიცინო მუშაკის ქმედების მართლწინააღმდეგობის შეფასებისას სასამართლო უთითებს შემდეგზე: საექიმო შეცდომაში იგულისხმება ექიმის მიერ საზოგადოდ აღიარებული სამედიცინო და ეთიკური სტანდარტების, კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დარღვევა, რამაც განაპირობა პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც, თავის მხრივ, პაციენტისათვის ზიანის მიყენების უშუალო მიზეზი გახდა¹⁰.

ზიანი

სამედიცინო მომსახურების სფეროში მიყენებული ქონებრივი ზიანი მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებიც უკვე გაწეულია პაციენტის მიერ და იმ ხარჯებსაც, რომლებსაც დაზარალებული პირი სამომავლოდ საჭიროებს.

ქონებრივი ზიანი განსაზღვრადი უნდა იყოს. ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა განმეორებით ჩატარებული მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან პაციენტს კლინიკაში მისვლამდეც ესაჭიროებოდა მკურნალობა; შესაბამისად, უხარისხოდ ჩატარებული სამედიცინო მომსახურების გათვალისწინებით, მოსარჩელის ფინანსურ დანაკლისს შეადგენდა არაკვალიფიციურ მომსახურებაში გადახდილი თანხა და არა ის თანხა, რაც მან ხელახალი პროთეზირებისას გადაიხადა. სასამართლოს განმარტებით, ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი ემსახურება არა ზიანის მიმყენებლის დასჯას, არამედ იმ დანაკლისის შევსებას, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად სხვა პირს მიადგა (სსკ-ის 992-ე, 1007.1-ე მუხლები)¹¹. ზიანის მატერიალური ოდენობის შეფასების

ვალდებულება მოსარჩელის მხარესაა, ხოლო თუ იგი არ უთითებს რაში გამოიხატა მისთვის მატერიალური ზიანი, იმ მოცემულობაში რა დროსაც მისი მკურნალობის პროცესს ფინანსურად უზრუნველყოფდა სახელმწიფო, ზიანის მატერიალური ფორმით ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა დაუსაბუთებელია¹². სასამართლომ დაუსაბუთებულად მიიჩნია პაციენტის მიერ მოთხოვნის საფუძველად მითითებული ის გარემოებაც, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, თბილისის მერია და საქველმოქმედო ფონდი ითხოვენ ან მოითხოვენ მათ მიერ გადახდილი თანხების ანაზღაურებას პაციენტისაგან, რის გამოც, შესაძლოა მოსარჩელეს გააჩნდეს ამ თანხების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მოპასუხისაგან. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის მოთხოვნა იმ თანხებთან დაკავშირებით, რომელიც მოსარჩელის ახლობლების მიერ იქნა გადახდილი იმ დასაბუთებით, რომ არ დასტურდებოდა აღნიშნული თანხის გადაიხადა პირის მიერ, ვის წინაშეც მოსარჩელეს ვალდებულება წარმოემოზოდა¹³. პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში, უფლებამოსილი პირის მოთხოვნით, სასამართლო დაკრძალვისთვის გაწეულ დანახარჯებსაც აკმაყოფილებს¹⁴.

ქონებრივი ზიანი მოიცავს როგორც ფაქტობრივ დანაკლისს, ასევე მიუღებელ შემოსავალს (სსკ 411-ე მუხლი). მიუღებელ შემოსავალს ტრადიციულად წარმოადგენს დაზარალებულის მიერ დაკარგული ხელფასი, შემოსავალი, რომელიც მას ჰქონდა ან სხვა შემოსავალი, რომელიც შეიძლება ჰქონოდა (დაკარგული შემოსავალი). ასე მაგალითად, პაციენტი მუშაობდა რა კონსერვატორიაში რექტორად და საფორტეპიანო კათედრაზე პედაგოგად, ხელის მტევანზე ჩატარებული არასწორი სამედიცინო ჩარევით (ოპერაციით) დაკარგა შრომის უნარი, რის გამოც იძულებული გახდა შეეწყვიტა პროფესიული საქმიანობა. სასამართლომ მოპასუხე კლინიკას მიუღებელი ხელფასი დააკისრა¹⁵.

სამედიცინო მომსახურების არასასურველი შედეგი ნეგატიურ ცვლილებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში, რამაც ქონებრივ დანახარჯებთან ერთად შეიძლება არამატერიალური უფლებების ხელყოფა-ფსიქიკური ტანჯვა (მორალური ზიანი) გამოიწვიოს. ასეთ შემთხვევაში პაციენტს ქონებრივ ზიანთან ერთად შეუძლია, მოითხოვოს არაქონებრივი – მორალური ზიანის ანაზღაურება (სსკ 413-ე მუხლი).

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას, სასამართლო ეყრდნობა დადგენილ სასამართლო პრაქტიკას; კერძოდ, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება სამართლიანი და გონივრული ოდენობით უნდა განისაზღვროს. შეუძლებელია, თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ფასის განსაზღვრა, ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანი, გარკვეულწილად, განცდილი ტკივილისა და დისკომფორტის შემსუბუქებაა. კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო დაზარალებულის მიერ განცდილი სულიერი, ფიზიკური ტანჯვისა და ზიანის მიმყენებლის ბრალის გათვალისწინებით, თუ ზიანის ანაზღაურების მოცემული სახე ბრალეულ მოქმედებაზეა დამოკიდებული“. სასამართლომ დაადგინა, რომ კლინიკის მიერ გაწეული ორთოპედიული მომსახურების დროს ჩატარებული მოსარჩელის მდგომარეობისათვის შეუსაბამო დიაგნოზითა და მკურნალობით, პაციენტის ჯანმრთელობას სტომატოლოგიური კუთხით მიადგა ვნება, რამაც მისთვის არა მარტო მატერიალური ზიანი გამოიწვია, არამედ სულიერი ტანჯვა, ტკივილი და ემოციური განცდები¹⁶.

მორალური ზიანის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ ერთ-ერთ გასათვალისწინებელ გარემოებად ის ფაქტიც მიიჩნია, რომ პრაქტიკულად ჩატარდა ერთი ზედმეტი ქირურგიული ჩარევა, რომელიც შესაძლოა თავიდან ყოფილიყო აცი-

ლებული. ასევე, გასათვალისწინებელი იყო პაციენტის შრომის უნარის დაქვეითება. ამასთან, სასამართლომ შეაფასა მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობაც, რადგან მორალური ზიანი არ შეიძლება იქცეს მოპასუხის ერთგვარ „სასჯელად“, რომელიც მის საქმიანობას და ფუნქციონირებას შეწყვეტს¹⁷.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას ძირითადად ყურადღება ექცევა სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხს, ჯანმრთელობის მოშლის პერიოდს (ხანგრძლივია თუ მოკლევადიანი), შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხს (მნიშვნელოვანი, უმნიშვნელო ან მუდმივი), ასევე ზიანის მიმყენებლის ქონებრივ მდგომარეობასაც (მოვალე გადახდისუნარიანი, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულებადი უნდა იყოს).

ბრალი

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნებისთვის სამედიცინო მომსახურების გამწვევის ბრალი არის სამედიცინო მომსახურების გამწვევის არა სუბიექტური, ფსიქიკური განწყობა მისი მოქმედების მიმართ, არამედ პაციენტისათვის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით შესაძლო ობიექტური ზომების მიუღებლობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, პაციენტისათვის მიყენებული ზიანისას, როგორც წესი, ექიმის განზრახი ბრალი არ არსებობს. ასეთ შემთხვევებში საკმარისია, დადგინდეს ექიმის გაუფრთხილებლობა, რაც გულისხმობს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების აუცილებელი გულისხმიერებისა და ყურადღების გარეშე განხორციელებას. გულისხმიერებასა და ყურადღებებიანობაში იგულისხმება ექიმის მიერ საჭირო სამედიცინო მოქმედებების ზედმიწევნით ხარისხიანად, აღიარებული სამედიცინო სტან-

დარტების შესაბამისად შესრულება¹⁸. საკანონმდებლო პალატა ყურადღებას გამახვილებს სამედიცინო შეცდომით გამოწვეული ზიანის შემადგენლობაში ბრალის ხარისხზე. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის სავალდებულოა დადასტურდეს ექიმის გაუფრთხილებლობა და არა განზრახვა არასასურველი შედეგის დადგომის მიმართ. ამასთანავე, დამდგარი ზიანი უშუალოდ ამ ქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს და არა მკურნალობის თანმდევ შედეგს, რომლის თავიდან აცილების შესაძლებლობაც სამედიცინო დაწესებულებას ობიექტურად არ შეეძლო¹⁹. იმის გასარკვევად, ადგილი ჰქონდა ექიმის ბრალულ ქმედებას, თუ ექიმის შესაძლებლობების მიუხედავად, ასეთი შედეგი მაინც დადგებოდა, სწორედ სამედიცინო პერსონალია ვალდებული, გამოიჩინოს თავისი ბრალი პაციენტის ჯანმრთელობის გაუარესებასა თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის არასრულ გაუმჯობესებაში. ამ საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანია სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისთვის. ამასთან, ბრალულობაზე საუბრისას იგულისხმება გაუფრთხილებელი ბრალი, და არა განზრახ ქმედება, რაც განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს. არსებობს პრეზუმფიცია იმისა, რომ სამედიცინო პერსონალი მოქმედებს კეთილსინდისიერად, მაქსიმალური გულისხმიერებით და მის განზრახვას და მიზანს წარმოადგენს პაციენტის გამოჯანმრთელება. სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი დგება სამედიცინო პერსონალის გაუფრთხილებელი ქმედების შედეგად, რაც უნდა განიშარტოს ისეთ ქცევად, როდესაც მან ვერ გამოიჩინა შესაბამისი გულისხმიერება, წინდახედულობა და არ გამოიყენა თავისი ცოდნა და კვალიფიკაცია, ასევე მის ხელთ არსებული საშუალებები მოსალოდნელი და დასაშვები რისკების თავიდან აცილების პრევენციისთვის²⁰.

ერთ-ერთ საქმეში, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს

დასკვნის გამოკვლევის შედეგად სასამართლომ დაადგინა, რომ დასკვნით პაციენტის გარდაცვალებაში მოპასუხეთა ბრალეულობა დასტურდებოდა; კერძოდ, პირველმა მოპასუხემ პაციენტს დაუდგინა არასრულყოფილი დიაგნოზი და დაავადება მისი გადაყვანა რეფერალურ ცენტრში, ხოლო, მეორე მოპასუხემ დროულად არ განახორციელა ოპერაციული ჩარევა, რამაც, საბოლოოდ, პაციენტის სიკვდილი გამოიწვია. სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლის პირველ ნაწილის შესაბამისად მიიჩნია, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მართლსაწინააღმდეგო შედეგი – პაცი-

**ქმედების
ბრალულობის
დადასტურებისას,
მოპასუხის მტკიცების
ფაქტობრივად მის ქმედებასა
და დამდგარ შედეგს
შორის მიზეზ-
შედეგობრივი კავშირის
არარსებობის დადგენა.**

ენტის გარდაცვალება – გამოიწვია ორივე მოპასუხის ბრალეულმა მოქმედებამ. შესაბამისად, ისინი ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელნი იყვნენ, როგორც სოლიდარული მოვალეები²¹.

ამასთან, თუ ოპერაციას მნიშვნელოვანი გართულებები მოჰყვა და პაციენტის ჯანმრთელობას შემდგომში მძიმე ზიანი მიაღდა, ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვით, რომ ბრალი სპეციალისტს მიუძღვის და მას პროფესიული მომზადება აკლდა, თუ ამგვარი შედეგი ნარკოზმა გამოიწვია. როგორც აღვნიშნეთ, მოთხოვნის წარმომშობის ფაქტთან დაკავშირებით მითითების ტვირთი პაციენტს/ მოსარჩელეს აწევს²².

მიზეზობრივი კავშირი

მკურნალობის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუკი პირისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია უშუალოდ მცდარი სამედიცინო მოქმედებით, ანუ გამოკვეთილია მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ის გარემოება, რომ ზიანი გამოიწვია სამედიცინო პერსონალის ქმედებამ, უტყუარად უნდა დადგინდეს. უშედეგო მკურნალობა ან მკურნალობის უარყოფითი შედეგი თავისთავად (უალტერნატივოდ) არ იწვევს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას. ზიანი გამოწვეული უნდა იყოს მკურნალობის დაშვებული შეცდომებით; ანუ, თუ მკურნალობა სწორადაა ჩატარებული, თუნდაც მას უარყოფითი შედეგი მოჰყვება, არ იწვევს ექიმის პასუხისმგებლობას²³. სხვა საქმეში სასამართლომ დადგინილად მიიჩნია პაციენტის კლინიკაში მკურნალობის პერიოდში „ც“ ჰეპატიტით დაინფიცირება და შესაბამისად, არასწორ სამედიცინო მომსახურებასა და პაციენტისთვის მიყენებულ ზიანს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის არსებობა²⁴.

დავის განხილვისას სასამართლომ დაადგინა, რომ პაციენტს 1997 წლის 6 ოქტომბერს კლინიკაში ჩატარდა ბცჟს ვაქცინაცია. ასევე დადგინდა და მხარეთა შორის სადავო არ ყოფილა, რომ პაციენტს 1998 წლის 26 მარტს დაუდგინდა ოსტეომიელიტი. მხარეთა შორის სადავო იყო მოსარჩელის დაავადებასა და მოპასუხის ქმედებას შორის კაუზალური (მიზეზ-შედეგობრივი) კავშირის არსებობა. საქმის მასალებით დადასტურდა, რომ მედიცინა ოსტეომიელიტის გამომწვევ მიზეზად ბცჟს ვაქცინაციას განიხილავს იმ შემთხვევაში, როდესაც ოსტეომიელიტი ტუბერკულოზური ეტიოლოგიისაა. სასამართლოს მოსაზრებით, ზემოთ დასახელებული გარემოებების არსებობის დადასტურების პირობებში, იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ პაციენტი გადიოდა

ანტიტუბერკულოზურ მკურნალობას, სსკ 102-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, მოსარჩელის მხარეზე გადავიდა. თუმცა, როგორც საქმის მასალებიდან ირკვეოდა, ამ სადავო, ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად მოსარჩელეს სასამართლოში არც ერთი მტკიცებულება არ წარუდგენია. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის დაავადებასა და მოპასუხის ქმედებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ არსებობდა²⁵. ქმედების ბრალეულობის დადასტურებისას, მოპასუხის მტკიცების ტვირთია მის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არარსებობის დადგენა²⁶.

სასამართლო გადაწყვეტილებათა ანალიზი ადასტურებს, რომ სამედიცინო მომსახურებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა არ კმაყოფილდება სწორედ იმ საფუძვლით, რომ სასამართლომ ვერ დაადგინა პაციენტისათვის არასასურველ შედეგსა და სამედიცინო მომსახურების გამწვევის მოქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირი.

დასკვნა

სამედიცინო მომსახურების გაწევისას პაციენტისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრების მტკიცებასთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-ანალიზით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ამ კატეგორიის დავებზე უნდა დადგინდეს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის წინაპირობების არსებობა, კერძოდ, მართლსაწინააღმდეგო ქმედება (სამედიცინო შეცდომა), ზიანი, ზიანის მიმყენებლის ბრალეულობა და მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

მედიცინის მუშაკის ქცევა მართლსაწინააღმდეგოა, თუ პაციენტს ზიანი მიადგა არსებული სტანდარტებისაგან

გვერდის ავლით განხორციელებული სამედიცინო მომსახურებით.

ქონებრივი ზიანი მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებიც უკვე გაწეულია პაციენტის მიერ და იმ ხარჯებსაც, რომლებსაც დაზარალებული პირი სამომავლოდ საჭიროებს. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას ძირითადად ყურადღება ექცევა სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხს, ჯანმრთელობის მოშლის პერიოდს (ხანგრძლივია თუ მოკლევადიანი), შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხს (მნიშვნელოვანი, უმნიშვნელო ან მუდმივი), ასევე ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობასაც (მოვალე გადახდისუნარიანი, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულებადი უნდა იყოს).

- 1 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 28, 31
- 2 „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 104
- 3 პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 10
- 4 www.supremecourt.ge
- 5 სუსგ Nას-111-111-2018 , 11 მაისი, 2018 წელი
- 6 სუსგ Nას-Nას-260-244-2014, 28 მაისი, 2014 წელი
- 7 ნ.კვანტალიანი, პაციენტის უფლებები დაჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, თბილისი, 2014, გვ.167
- 8 სუსგ Nას-1057-997-2015, 29 იანვარი, 2016 წელი
- 9 ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი
- 10 სუსგ N1268-1526-09, 25 მაისი, 2010 წელი
- 11 სუსგ Nას-866-816-2015, 12 თებერვალი, 2016 წელი
- 12 სუსგ Nას-111-111-2018 , 11 მაისი, 2018 წელი
- 13 სუსგ Nას-1102-1038-2015, 22 იანვარი, 2016 წელი

სამედიცინო მომსახურების გამწვევის ბრალი არის სამედიცინო მომსახურების გამწვევის არა სუბიექტური, ფსიქიკური განწყობა მისი მოქმედების მიმართ, არამედ პაციენტისათვის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით შესაძლო ობიექტური ზომების მიუღებლობა.

უშედეგო მკურნალობა ან მკურნალობის უარყოფითი შედეგი თავისთავად (უალტერნატივოდ) არ იწვევს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას. ზიანი გამოწვეული უნდა იყოს მკურნალობისას დაშვებული შეცდომებით, ანუ აუცილებელია პაციენტისთვის არასასურველ შედეგსა და სამედიცინო მომსახურების გამწვევის მოქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა.

- 14 სუსგ Nას-1057-997-2015, 29 იანვარი, 2016 წელი
- 15 სუსგ Nას-714-669-2010, 25 ოქტომბერი, 2010 წელი
- 16 სუსგ Nას-866-816-2015, 12 თებერვალი, 2016 წელი
- 17 სუსგ Nას-1102-1038-2015, 22 იანვარი, 2016 წელი
- 18 სუსგ Nას-1124-1044-2017 30 ივლისი, 2018 წელი
- 19 სუსგ Nას-593-568-2016, 14 ივლისი, 2017 წელი
- 20 სუსგ Nას-1102-1038-2015, 22 იანვარი, 2016 წელი
- 21 სუსგ Nას-891-841-2015, 29 იანვარი, 2016 წელი
- 22 სუსგ Nას-111-111-2018 , 11 მაისი, 2018 წელი
- 23 სუსგ N260-244-11, 27 ივნისი, 2011 წელი; სუსგ Nას-1124-1044-2017, 30 ივლისი, 2018 წელი
- 24 სუსგ Nას-1779-1757-2011 9 თებერვალი, 2012 წელი
- 25 სუსგ Nას-260-244-2014, 28 მაისი, 2014 წელი
- 26 სუსგ Nას-1102-1038-2015, 22 იანვარი, 2016 წელი



ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებების სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების თავისებურებები



ავტორი: ნიკოლოზ გოგილიძე
შპს „მიქაძე, გეგეჭკორი, თაქთაქიშვილი“,
აღმასრულებელი დირექტორი

ონტელექტუალური საკუთრება, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკისთვის უმნიშვნელოვანესია ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და ეფექტური აღსრულების მექანიზმების არსებობა. გარდა ამისა, ინტელექტუალური საკუთრების ეფექტური სისტემის არსებობა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს განვითარებულ ქვეყნებთან მჭიდრო და ახლო სავაჭრო თუ პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბების კუთხით.

საქართველო-ევროკავშირის შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების დროს, ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემას

წარმოადგენდა. აღნიშნულმა ასახვა ჰპოვა თვითონ შეთანხმებაში და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას ცალკე თავი ეთმობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაში.

ზემოაღნიშნული შეთანხმების გაფორმების დროს, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა თითქმის სრულად იყო დაახლოებული ევროკავშირის რეგულაციებთან და მოთხოვნებთან. აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ საქართველო არის ინტელექტუალური საკუთრების და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციების წევრი და ასევე, რატიფიცირებული აქვს ამ ორგანიზაციების მიერ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ადმინისტრირებული საერთაშორისო შეთანხმებათა უმრავლესობა. გარდა ამისა, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებათა პროცესში, კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით, 2010 წელს ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. აღნიშნული ჩვენნი კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ევროკავშირის მოთხოვნებთან. თუმცა, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, საჭირო გახდა დამატებით, გარკვეული ცვლილებების განხორციელება კანონმდებლობაში, რათა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ინტელექტუალური საკუთრების თავში მოცემული ნორმები სრულად ასახულიყო ეროვნულ კანონმდებლობაში. 2017 წელს საქართველოს კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები შევიდა, რაც ძირითადად ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებების დარღვევისას უფლებების აღსრულების მექანიზმებს ეხებოდა.

ზემოთ აღნიშნულ ცვლილებებში განსაკუთრებით საყურადღებოა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და-

მატებული ახალი თავი, რომელიც სამოქალაქო დავისას სხვადასხვა საპროცესო მოქმედებებს ეხება. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებული დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზოგადი ნორმები, ხშირ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ეფექტურად დაცვას და განხორციელებას. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ამ თავში მოცემული ნორმები იმპლემენტირებული და განმარტებული იყოს იმგვარად, რომ გათვალისწინებული იქნეს ის თავისებურებები, რაც ინტელექტუ-

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებული დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზოგადი ნორმები, ხშირ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას და განხორციელებას.

ალური საკუთრების ობიექტებზე უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ დავებს ახასიათებს.

ამ კუთხით, მნიშვნელოვანია გამოეყოს ის განსხვავებები, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სპეციალურ თავშია მოცემული და რომელიც ზოგადი წესებისგან განსხვავებულად არეგულირებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული დავების ზოგიერთ ასპექტს.

ასევე, მნიშვნელოვანია, დავახასიათოთ ის დამატებითი მექანიზმები, რომელიც გათვალისწინებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ნაწილში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც დაკავშირებულია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ დავებთან, ეხება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების წესებს და მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363²⁹-ე მუხლში. კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, სამართლო უფლებამოსილია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების მფლობელის საფუძველზე:

ა) გამოიტანოს განჩინება იმ პირის საკუთრებაში არსებულ უძრავ ან/და მოძრავ ქონებაზე (მათ შორის, საბანკო ანგარიშებსა და სხვა აქტივებზე) ყადაღის დადების შესახებ, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან კომერციული მასშტაბით დაარღვია განსაკუთრებული უფლება, თუ შესაძლებელია, საფრთხე შეექმნას განსაკუთრებული უფლების მფლობელის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამ მიზნით სასამართლო განსაკუთრებული უფლების მფლობელის შუამდგომლობის საფუძველზე, განსაკუთრებული უფლების შესაძლო დამრღვევისგან გამოითხოვს მის მფლობელობაში არსებულ საბანკო, ფინანსურ ან/და კომერციულ დოკუმენტებს/ინფორმაციას. ამ დოკუმენტების/ინფორმაციის გაცნობის უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს. სასამართლო უფლებამოსილია ყადაღის საგნის იდენტიფიცირების მიზნით მიღებული დოკუმენტები/ინფორმაცია გადასცეს სასამართლოს მიერ დანიშნულ დამოუკიდებელ ექსპერტს. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გამოყენების შედეგად მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება დაუშვებელია;

ბ) აუკრძალოს პირს, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია განსაკუთრებული უფლება, იმ ქმედების განხორციელება, რომლითაც ირღვევა განსაკუთრებული უფლება“.¹

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლისგან განსხვავებით, რომელიც არეგულირებს სამოქალაქო დავებში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებას, აღნიშნული მუხლის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელი არ არის, რომ ღონისძიების გამოყენებლობის შემთხვევაში გაძნელდეს ან შეუძლებელი გახდეს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების ზოგადი წესებისგან განსხვავებით, 36329-ე მუხლის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად შესაძლებელია გამოყენებულ იყოს სასარჩელო მოთხოვნის იდენტური აკრძალვა. კერძოდ, იმ ქმედების განხორციელება, რომლითაც ირღვევა განსაკუთრებული უფლება.

აღნიშნული განსხვავებები განპირობებულია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებების დარღვევის სპეციფიკით. კერძოდ, შესაძლო დამრღვევი ქმედების დაუყოვნებლივ აღკვეთის შესაძლებლობის გარეშე, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლებების მფლობელს ადგება გამოუსწორებელი ზიანი. 36329-ე მუხლის არსებობა ქართულ კანონმდებლობაში, ასევე, განპირობებულია საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებით ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში. კერძოდ, საქართველო არის „ინტელექტუალური საკუთრებით ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ შეთანხმების (TRIPS Agreement) წევრი. ხელშეკრულების 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: „სასამართლო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შესაბამის შემთხვევაში მიიღონ ღრობებითი ზო-

მები inaudita altera parte, კერძოდ, ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს შესაძლებლობა ნებისმიერმა დაყოვნებამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს უფლების მფლობელს, ან როდესაც არსებობს სამხილების განადგურების აშკარა რისკი“. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად უფლებების სავარაუდო დამრღვევი ქმედების აკრძალვის ვალდებულება, ასევე, ასახულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაში, რომლის 194-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „თითოეული მხარე

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად შესაძლებელია გამოყენებულ იყოს სასარჩელო მოთხოვნის იდენტური აკრძალვა. კერძოდ, იმ შემთხვევაში, რომლითაც ირღვევა განსაკუთრებული უფლება.

უზრუნველყოფს, რომ სასამართლოს შეეძლოს მოსარჩელის განცხადების საფუძველზე დაავალოს სავარაუდო დამრღვევ მხარეს ქმედების განხორციელება ან/და ქმედებისგან თავის შეკავება, რომელიც გამიზნულია ინტელექტუალური საკუთრების უფლების გარდაუვალი ხელყოფის შესაჩერებლად“.

აღნიშნული ნორმის განმარტებისას, საყურადღებოა 36329-ე მუხლის მე-5 ნაწილის მითითება იმის თაობაზე, რომ „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის საქმეზე ვრცელდება ამ კოდექსის XXIII თავით დადგენი-

ლი მოთხოვნები“ გულისხმობს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზოგადი ნორმებით რეგულირდება ის საკითხები, რომელიც არ არის მოცემული სპეციალურ XLIV(12) თავში, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების წესი და პირობები ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის საქმეებთან დაკავშირებით, კი გამოიყენება ამ თავით დადგენილი წესები. წინამდებარე წესების შემოღება განპირობებული იყო სწორედ იმ გარემოებით, რომ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ზოგადი წესები ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის შემთხვევაში არ იყო ეფექტური, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას შეიძლება საფრთხე არ შეექმნას, დავის განმავლობაში მოპასუხის მიერ სავარაუდო დარღვევის გაგრძელება გამოუსწორებელ ზიანს აყენებს პირის ინტელექტუალურ საკუთრებას და აზრს უკარგავს ასეთი სახის დავას. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომელიც განსხვავებული წესებით არეგულირებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას.

დასკვნის სახით, აღსანიშნავია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების განსხვავებული წესი საშუალებას აძლევს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე განსაკუთრებული უფლებების მფლობელს უზრუნველყონ უფლებების ეფექტურად დაცვა და განხორციელება, რაც მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების სისტემის გამართულად ფუნქციონირებისათვის და ხელს უწყობს ინტელექტუალური საკუთრების მფლობელების ინტერესის ზრდას საქართველოში უფლებების განხორციელების კუთხით.

1 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363²⁹ მუხლი



ბლოკჩეინის სამართალი გონიერი კონტრაქტები და ტოკენიზაცია

ავტორი: ლევან ბოძაშვილი
ევროკავშირის ბლოკჩეინისა და ხელოვნური
ინტელექტის მკვლევარი

შესავალი


როგორც ჰარვარდის ლეგენდარული სამართლის პროფესორი, ლარი ლესიგი ამბობს, ის, ვისაც სიგიჟის შეთავაზება არ შეუძლია, ვერაფერს შექმნის ახალს. ამიტომაც, სტატიის დაწერა საკითხზე, რომელიც ჯერ კიდევ ალქმის თვალსაზრისით ჩანასახშია, როდესაც საზოგადოების მიდგომა ნდობის დაბალი ხარისხით სარგებლობს, მაღალი რისკის შემცველია. მიუხედავად იმისა, რომ სამართლის ამ ახალი დარგის დასახელება პირობითია, ის უკვე მოქმედებაშია. თითქმის ხუთივე კონტინენტზე შესაბამისი კანონმდებლობა მიღებულია და ხდება დავების გადაწყვეტა. მალე გამოვა ლონდონის იურიდიული საზოგადოების პირველი გამოცემა ბლოკჩეინის რეგულირებაზეც, რომლის ფასი ამ დროისათვის 1600 ლარზე მეტი იქნება. წინამდებარე სტატიის მიზანი საკითხთან დაკავშირებით მკითხველისათვის ზოგადი წარმოდგენის შექმნა და ინფორმირებაა. იურისპრუდენცია ის სფეროა, რომელიც ყველაზე მეტად თუ არა, მნიშვნელოვნად, უკვე არის და კიდევ უფრო იქნება სახეცვლილი ტექნოლოგიების მეშვეობით.

ული საქმიანობის ყველა სფეროში. საქართველო ამ დრომდე რჩება ე.წ. ნაცრისფერ ზონად, სადაც არც არაფერია აკრძალული, მაგრამ არც რეგულირებული.

მალე გვექნება კიდევ ერთი ახალი სამართლის დარგიც, კოდირების სამართალი, რომლის რეგულირებაზე, ჯერ მხოლოდ პრინციპების დონეზე, უკვე მუშაობს ამერიკაც, ევროპაც და ჩინეთიც. იანვარში ამ პრინციპების ერთობლიობა გამოაქვეყნა ამერიკის მთავრობამ, ხოლო რამდენიმე დღის წინ ევროკავშირმა. ტერმინი კოდირების სამართალი ხელოვნური ინტელექტსა და ზოგადად, კომპიუტერულ მეცნიერებებს შეეხება, რომელიც, ინსპირირებულია რა ლესიგის კვლევებით, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ შეთავაზებულ ევროპულ კოლეგებს ოქსფორდის უნივერსიტეტის მომავლის ინტიტუტში, რომელიც არსებითად იქნა გაზიარებული. გუგლიდან დაწყებული იღონ მასკით დამთავრებული, დღეს ყველა თანხმდება, რომ სამართლის ეს დარგი აუცილებლობას წარმოადგენს. თუმცა ამაზე სხვა დროს.

რა არის ბლოკჩეინი

ვიდრე სამართალზე გადავალთ, გავიგოთ რა არის სიტყვის მნიშვნელობა, რომელიც დღეს ხშირად გვესმის, მაგრამ რეალურად მისი არსი ჯერ კიდევ ბევრმა არ იცის. ხშირად მას კრიპტოვალუტებშიც ურევვენ, რაც არასწორია. ძალიან მარტივად რომ ავხსნათ,



ეს არის შუამავლის გარეშე მოქმედი პროგრამა, რომელიც შედგება ინდივიდუალური ე.წ. ბლოკებისგან და ქმნის დეცენტრალიზებულ ქსელს, რომელშიც ყველას აქვს საშუალება მესამე პირის (მაგ. ბანკის) გარეშე მოახდინოს ტრანზაქცია ერთ ან რამდენიმე მომხ-

მარებელთან. ბლოკჩეინის სხვადასხვა ტიპი არსებობს. მაგალითად, კრიპტოვალუტის, ბიტკოინის ბლოკჩეინი განსხვავდება ეთერიუმის ბლოკჩეინისგან იმით, რომ ეს უკანასკნელი ტრანზაქციებს გონიერი კონტრაქტების მეშვეობით ახორციელებს.

ტრანზაქციების განსახორციელებლად ბლოკჩეინი იყენებს ე.წ. ტოკენს, ანუ ციფრულ ერთეულს. ტოკენთა რამდენიმე სახე არსებობს – გადახდის ტოკენი, გამოყენებითი ტოკენი და სააქციო ტოკენი. მაგალითად, ბიტკოინი წარმოადგენს გა-

დახდის ტოკენს და არაერთ იურისდიქციაში აღიარებულია, როგორც მხოლოდ ციფრული ქონება, რადგან სახელმწიფოები ჯერ შორს არიან იმ აზრისგან, რომ იგი ოფიციალურ ვალუტად იქნეს აღიარებული.



აქამდე არსებული მონაცემთა ქსელებიდან განსხვავებით, ბლოკჩეინი დამოუკიდებლად, ე.წ. ცენტრალური ხელისუფლების გარეშე, ერთი პირის მეორე პირთან პირდაპირი ურთიერთქმედების საფუძველზე მუშაობს. აქამდე არსებული ქსელები „სერვერ-კლიენტის“ პრინციპით მუშაობდა და მუშაობს, როგორც ამჟამინდელი კლასიკური ინტერნეტი (რაიტი, დე ფილიპი, კოდირების წესები, 2019). მათ ვიღაც ფლობს, კონკრეტული ინტერნეტ სერვისის მიწოდებელი კომპანია, რომლის სერვერთა მეშვეობით გაედინება და შემოედინება მონაცემთა ტრაფიკი ელ.ფოსტის გზავნილიდან მესენჯერის ჩათვლით. ხოლო ბლოკჩეინში ამ პირებს პირობითად ნოდები, ბლოკები ეწოდება. ამ ნოდებს თითოეული ინდივიდი ფლობს და სხვადასხვა ნოდებს შორის იქმნება ტრანზაქციის შესაძლებლობა, ისე, რომ გარიგების შესაძლებელი განმარტაციული საჭირო აღარ არის. მაგალითად, სანატარო დამოწმების განსახორციელებლად აუცილებელია ავტორიზებული პირის, ნოტარიუსის მიერ ლიცენზირებული მოქმედების განსახორციელება, რათა დამოწმებული დოკუმენტი გახდეს ავტორიზებული. ბლოკჩეინის გამოყენებით, ასეთი შესაძლებელი საჭირო

აღარ არის, რადგან არსებული ჩანაწერი იმდენად დაცული, შეუცვლადი და აუთენტურია, რომ მისი დამოწმების საჭიროება არ დგას. იგივე ეხება სისხლის სამართლის მტკიცებულებების აუდიო და ვიდეო ჩანაწერებს, რომელთა ბლოკჩეინზე განთავსების შემდეგ დამატებითი ექსპერტიზის საჭიროება აღარ დგება.

ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ თითოეული ნოდის დადასტურებას ახდენს თავად გარიგებაში მყოფი ორი ან მეტი პირი და მაშინაც კი, როდესაც ერთი მხარის ჩანაწერი იკარგება ან უკიდურეს შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგოდ მოდიფიცირდება, პირველადი ავტორიზირებული ორიგინალი ჩანაწერის აღდგენა მარტივია. შესაბამისად, ბლოკჩეინზე განთავსებული მონაცემების უსაფრთხოება იმდენად მედეგია, რომ დამატებითი ექსპერტიზის საჭიროება პრაქტიკულად ნულდება. ამავე დროს, ამ მონაცემთა მოწესრიგებულობისა და უსაფრთხოების გასაძლიერებლად, ბლოკჩეინი ემყარება ე.წ. კონსენსუსის მექანიზმს – წესთა უმკაცრეს ერთობლიობას, რომელიც ამ მონაცემების გაყალბებას იმდენად ძვირს ხდის, რომ მის განხორციელებას აზრი ეკარგება ნებისმიერი ტიპის ტრანზაქციისთვისაც კი.

კოდი არის კანონი

ეს რთული ტექნოლოგიური და სამართლებრივი სინთეზური ფილოსოფიური დასკვნა პირველად კონსტიტუციონალისტმა ლარი ლესიგმა 1999 წელს გააკეთა თავის წიგნში „კოდი და კიბერსივრცის სხვა წესები“. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი არის კოდირების სამართლის ფილოსოფიის მამამთავარი. პარადოქსალური და ნიშანდობლივია ისიც, რომ პირველი კრიპტოვალუტაც არა იდუმალმა სატომო ნაკამოტომ შექმნა 2009 წელს, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, არამედ იურისტმა ნიკ ცაბომ, 1987 წელს.

ბოლო წლების განმავლობაში, მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის პირობებში, ექსპონენციური ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, ტერმინი „კანონის უზენაესობა“ უპირობოდ ეკახება ახალ ტერმინს „კოდის უზენაესობა“. კიბერსივრცის რეგულირება ამ ორ პრინციპს შორის ურთიერთპარმონიულ თავსებადობაში მდგომარეობს. კოდის მეშვეობით ადამიანებს შეუძლიათ ისეთი საკუთარი წესების სისტემა შექმნან, რომელიც მოქმედი იურისდიქციების გარეშე ფუნქციონირებს. ვინაიდან, კანონის უზენაესობა მატერიალური, ე.წ. ხორციელი სფეროს მარეგულირებელია, ხოლო კოდის უზენაესობა ვირტუალური, არამატერიალური და არაკონტროლირებადი სფეროს რეგულაციის საფუძველია, ისინი ურთიერთქმედებენ იმ ფარგლებში რამდენადაც ეს ორი სისტემა ერთმანეთთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, ფორმირდება ახალი ნორმატიული სისტემა, რომლის ფარგლებში ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური, ავტონომიური, არარეგულირებადი ფორმაციები ჩნდება. ამის ნათელი მაგალითია დეცენტრალიზებული ავტონომიური ორგანიზაციები (DAO) და ე.წ. ICO-ები, პირველადი ქონ შეთავაზებები, რომელთა რეგულირება არ მომხდარა, თუმცა მათი მეშვეობით ასობით მილიონი დოლარის ინვესტიციები იქნა მოზიდული სხვადასხვა პროექტების მიერ, ისევე

როგორც არანაკლები თანხები უკვლოდ გაქრა. პროგრამული, კოდირებითი შესაძლებლობების ტექნოლოგიების განვითარებამ შესაბამისად დღის წესრიგში ავტომატურად დააყენა lex cryptographia-ს წარმოშობა. იგი არსობრივად ანარქიულია, მოქმედებს ტრადიციული რეგულირების ფარგლებს მიღმა და წარმოადგენს დამოუკიდებელ ეკოსისტემას, რომელიც არსებობს სხვა ტრადიციული ეკოსისტემების პარალელურად ან მათ ხარჯზე (რ. ნოზიკი. ანარქია, სახელმწიფო და უტოპია, 1974). მისი რეგულირება მხოლოდ კოდზე დამოკიდებული და შესაბამისად, ანარქიული და ავტონომიურია რადგან ანგრეეს, ან მინიმუმ გვერდს უვლის, სახელმწიფოს მონოპოლიას რეგულირებაზე. სახელმწიფოს ამ მონოპოლიურობის გამოწვევას ახდენს ბლოკჩეინი. კერძოდ, ერთი იმით, რომ თუ სახელმწიფოს სრული საშუალება აქვს აღასრულოს მართლმსაჯულება და დაიცვას ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, ბლოკჩეინში ეს დიდწილად შეუძლებელია. მაგალითად, გონიერი კონტრაქტის ამ დროისათვის არსებული პრინციპი – მისი უშუალოდ ეწინააღმდეგება უფლებას დავიწყების თაობაზე (ევროკავშირის მონაცემთა დაცვის რეგულაცია). შესაბამისად, ბლოკჩეინის ეკოსისტემაში რეგულირებას ახდენს კოდი. ანუ, კოდი არის კანონი.

მეორეს მხრივ, არსებითად რასაც ბლოკჩეინი ახდენს, ეს არის რეგულირების საშუალების (და არა კომპეტენციის) გადაცემა სახელმწიფოდან მოქალაქეზე. ამაში მდგომარეობს დეცენტრალიზაციის არსი და ამიტომაც ბლოკჩეინს ეწოდება დეცენტრალიზებულ ჩანაწერთა ტექნოლოგია.

პრაქტიკაში, საკმაოდ რთულია განსხვავების დანახვა სახელმწიფო და ტექნოლოგიურ რეგულირებას შორის, კანონის უზენაესობასა და კოდის უზენაესობას შორის. ზოგადად, კიბერსივრცის რეგულირება ტრადიციული რეგულირებისგან მნიშვნელოვნად განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ახდენს ტექნოლოგია რეალური ცხოვ-

რების რეგულირების სფეროში შეჭრას (ლესიგი, კიბერსივრცის ზონები, 1996). ამ პრაქტიკული განსხვავებითი საზღვრების დანახვა მომდევნო წლებში კიდევ უფრო ადვილად გახდება შესაძლებელი, იმის მიხედვით, თუ ვინ გაიმარჯვებს – კანონის უზენაესობის გამოყენებლები თუ ტექნოლოგისტები, რომელთა მთავარი მიზანი მოქალაქეთა სახელმწიფოსგან „გამოთავისუფლება“ (სხრეპელი, ბლოკჩეინის ანტიმონოპოლიური პარადოქსი. 2019).

ბლოკჩეინზე განთავსებული მონაცემების უსაფრთხოება იმდენად მედეგია, რომ დამატებითი ექსპერტიზის საჭიროება პრაქტიკულად ნულდება.

განვიხილოთ უფრო კონკრეტულად. პირველ რიგში, ბლოკჩეინი არის ტექნოლოგია, რომელიც ანონიმურობას ეფუძნება. მისი მომხმარებლის რეალური იდენტობა არ არის ცნობილი მესამე პირთათვის, იგი ფლობს ვირტუალურ ე.წ. „საჯარო გასაღებს“, რომელიც არის სიმბოლოთა ერთობლიობა და ცნობადია ყველასთვის ბლოკჩეინში. ამას გარდა, მომხმარებელი ფლობს „პირად გასაღებს“, რომელიც მხოლოდ მისთვის არის ცნობილი. ტრანზაქცია ორ პირს შორის არის ღია, ხილული და ხორციელდება შეუცვლელი ჩანაწერით. თუმცა პირთა ვინაობა დაუდგენელია. დაუდგენელია ასევე ტრანზაქციის მიზანი და შინაარსი.

შესაბამისად, მარეგულირებლის მოქმედება დაარეგულიროს ასეთი ტრანზაქცია რჩება არაეფექტიანად. ეს ანონიმურობა არ ეხება იმ ვითარებას, როდესაც ბლოკჩეინით ხორციელდება რეალური ქონების, მოქმედების ან შესყიდვის განხორციელება.

მეორეც, ბლოკჩეინი წარმოშობს გარედან აღსრულების თვალსაზრისით რეალურ ბარიერს. ეს გამოწვეულია მისი დეცენტრალიზებული ხასიათით და ვინაიდან მას არ ჰყავს/აქვს ცენტრალიზებული მმართველი ხელისუფლება, პასუხისმგებლობა მის შესრულებაზე მხოლოდ მომხმარებელთა ხელშია. თუმცა, შიგნით, თავად სისტემაშიც კი, მისი აღსრულება გარანტირებულია იმდენად, რამდენადაც, ერთი ჩანაწერის წაშლა ან შეცვლა არ ახდენს ამ ჩანაწერის მეორე ასლის წაშლას ან შეცვლას და შესაბამისად დადასტურებადია. გარედან ჩარევის შეუძლებლობა კი ვერ აღჭურავს სასამართლოს ან საჯარო ხელისუფლებას საშუალებით მოახდინოს რომელიმე ჩანაწერის შეცვლის ან წაშლის გზით აღსრულების იძულება.

მესამე, ბლოკჩეინი დენადი, შეუჩერებელი კოდია, დაუსრულებელი. მისი ერთი დონე ერთის მხრივ წარმოადგენს მონაცემთა ბაზას, ხოლო მეორე დონე საშუალებას იძლევა აპლიკაციების მეშვეობით არა მხოლოდ ფინანსური ტრანზაქციები განხორციელდეს, არამედ მაგალითად, ორმა პირმა გაიყოს ტაქსის გამოძახება ან სასტუმროს დაჯავშნა. ამიტომაც, მისი მომხმარებლების ნდობას სწორედ პროგრამას უცხადებენ და არა სასამართლოს ან სააღსრულებო ბიუროს, რომელიც პოტენციურად, რეალურ ცხოვრებაში წარმოადგენს ლეგიტიმურ სანდო საბოლოო ინსტანციას გარიგების იძულებით აღსასრულებლად.

გონიერი კონტრაქტები

გონიერი კონტრაქტი არის კოდი, პროგრამა, რომელშიც მოცემულია გარიგება. მისი განხორციელება ხდება ეთერიუმის ბლოკჩეინის მეშვეობით და ეფუძნება პრინციპს „თუ ეს, მაშინ ასე“. ეს არის შეუცვლელი, არამოდიფიცირებადი კოდი, რომლის გასაუქმებლად, შესაცვლელად ან განსაზღვრულად საჭიროა ახალი კონტრაქტის, კოდის შექმნა. მრავალი ევროპული იურისტის აზრით, მასზე ვრცელდება ევროკავშირის რომი 1 რეგულაცია და ისეთივე ვალდებულებებს

წარმოშობს, როგორც ჩვეულებრივი კონტრაქტი. შესაბამისად, გონიერი კონტრაქტის აღსრულება ეფუძნება მხარეთა ნებაყოფლობით და წინასწარ შეთანხმებას, დამატებული შესაბამისი ტექნოლოგიური უზრუნველყოფა თვით კონტრაქტის ასამოქმედებლად. აქ წარმოიშობა მთავარი განმასხვავებელი ასპექტი – ექსტრატერიტორიულობის პრინციპი. ასეთი სახის ალგორითმული კონტრაქტი სცდება მხარეთა ტერიტორიულ იურისდიქციულ ჩარჩოს და შესაძლებელია განხორციელდეს კალიფორნიიდან ქუთაისამდე მარეგულირებლის გარეშე. კანონმდებელს რჩება ორი გზა: დაარეგულიროს აღსრულებისა და დავების გადაწყვეტის მექანიზმი. თუმცა ამ ვითარებაშიც კი ეს რეგულირება უნდა იყოს თავსებადი სხვა იურისდიქციულ რეგულირებასთან რათა მხარეებს არ შეექმნათ აღსრულების პრობლემები. ევროკავშირის კანონმდებლობაშიც კი, ვალდებულებითი სამართლის განხორციელება უმეტესად ქვეყნების მიერ კანონთა ინდივიდუალური ინტერპრეტაციას ეფუძნება და ამ ინტერპრეტაციის ევროკანონმდებლობასთან განსხვავების შემთხვევაში ერთგვარ ევროკავშირის სასამართლო. შესაბამისად, გონიერი კონტრაქტების გამოყენება საერთაშორისო დონეზე, როგორც ჩვეულებრივი კონტრაქტისა ან ავტონომიური და მოიცავს დავების გადაწყვეტელობისა და არ აღსრულების რისკს, ან იგი უნდა დაექვემდებაროს საერთაშორისო წესთა ერთობლიობას, რომელთა უნიფიცირებული ჩარჩო ამჟამად არ არსებობს.

მეორე, მნიშვნელოვანი ასპექტი გონიერი კონტრაქტებისა არის ის, რომ მათი საშუალებით შესაძლებელია დიდი, მრავალფუნქციური ხელშეკრულებების ნაწილთა განხორციელება. ასეთ შეთანხმებებს პირობითად დავარქვათ ჰიბრიდული გარიგებები და გულისხმობს ჩარჩო ხელშეკრულებების იმ ნაწილთა განხორციელებას, რომელთა ვადები და პირობები პარალელურად ხორციელდება ხელშეკრულების მთელი მოქმედების მანძილზე პერიოდულად. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს გადაზიდვა კომპანიის ხელშეკრულება პორტთან, როდესაც ინდივიდუალური

კონტინენტების დატვირთვა/მიმოქცევა ხორციელდება გონიერი კონტრაქტით სათითაოდ, ხოლო სრული პირობები მთლიანი, ჩვეულებრივი ხელშეკრულებით მხარეებს შორის. ასეთი პრაქტიკა უკვე დანერგა IBM-მა და Maersk-მა მსოფლიოს 100-ზე მეტ პორტში.

ტოკენიზაცია

2017 წლიდან მოყოლებული, სწორედ ე.წ. ICO-ების ნეგატიური გამოცდილების შედეგად, ამერიკულმა და ევროპულმა რეგულატორებმა ინტენსიურად დაიწყეს სარეგულაციო ჩარჩოზე მუშაობა. დღეს

ტოკენიზაციის მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია სრულად დაადასტუროს პროდუქციის წარმოებლობა და ხარისხი და თავიდან აიცილოს გაყალბება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ელექტრონული კომერციისა და ონლაინ შესყიდვების პირობებში.

უკვე ჩამოყალიბებული და შექმნილია შესაბამისი რეგულაციები ევროპის ქვეყნებში, ამერიკაში, აზიასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში. არარეგულირებული შეთავაზებების რისკი იმდენად მაღალი იყო და პრაქტიკამაც აჩვენა თანხების უკანონო მითვისების შემთხვევები, რომ მასიურად მოხდა მათი რეგულირება.

JP Morgan-ის შეფასებით, მომდევნო 4-5 წელიწადში ბლოკჩეინზე იქნება გადასული და მოხდება ტოკენიზაცია გადახდების სისტემის 90%, ხოლო ფინანსური და უძრავი ქონების ტოკენიზაცია სრულმასშტაბიან სახეს მიიღებს. ტოკენიზაცია პრაქტიკულად ყველაფრის შეიძლება.

ტოკენიზაცია პირველად TrustCommerce-მა განხორციელა 2001 წელს. ეს არ იყო ბლოკჩეინ ტოკენი, არამედ კოდირებული შემცვლელი საბანკო ბარათებისა და პერსონალური ინფორმაციისათვის. ბლოკჩეინის წარმოშობის შემდეგ, ტოკენიზაციამ დიდი ადგილი დაიკავა ნებისმიერი სახის ბიზნეს ქონების ელექტრონული და პროგრამული ჩამნაცვლების სახით. ტოკენიზაცია ბლოკჩეინზე ნიშნავს არსებული მატერიალური ან არამატერიალური, მოძრავი ან უძრავი ქონების ციფრული ტოკენის შექმნას, რომელსაც ფინანსურ ბაზარზე აქვს დადგენილი ფასი. ქონების მფლობელობა გამოხატულია ტოკენის მფლობელობით. ტოკენიზაციას აქვს ამავე დროს აუთენტურობის გარანტირებული საშუალება, რომლის მიხედვით მარტივად დადგენილია წარმოებული პროდუქციის ხარისხი. დღეს მსოფლიოში ტოკენიზებულია საკმაოდ დიდი რაოდენობის პროდუქცია, ხელოვნების ნიმუშებიდან ღვინომდე. მაგალითად, შარშან ლუი ვიტონმა მაიკროსოფტთან ერთად დიორისა და გუჩის პროდუქციის ტოკენიზაცია მოახდინა. ამჟამად მიმდინარეობს ქართული ღვინის ტოკენიზაცია EY (Ernst&Young)-ის ბლოკჩეინ პლატფორმასთან ერთად, რომელზეც ინტენსიურად ვმუშაობთ ნორვეგიელ, ამერიკელ და ებრაელ პარტნიორებთან ერთად. ტოკენიზაციის მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია სრულად დადასტუროს პროდუქციის წარმოებლობა და ხარისხი და თავიდან აიცილოს გაყალბება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ელექტრონული კომერციისა და ონლაინ შესყიდვების პირობებში. იგივე ეხება ინტელექტუალურ პროდუქციას. ბლოკჩეინზე დამყარებული საერთო უფლებები პრაქტიკულად აღარ საჭიროებს დამატებით რეგისტრაციას. საკმაოდ დიდი ადგილი ტოკენიზაციაში უჭირავს მიწის, უძრავი ქონების ტოკენიზაციას. საქართველო იყო პირველი ქვეყანა რომელმაც კომპანია ბიტფურისთან ერთად მიწის რეგისტრაციის ბლოკჩეინ რეესტრი შექმნა, თუმცა ამის შემდგომ ბლოკჩეინის გამოყენება საჯარო სფეროში ძალიან ნელი ტემპით წავიდა.

ზემონახსენები პირველადი ქონ შეთავაზებების შემდგომ, 2019 წლიდან მოყოლებული, გლობალურ საინვესტიციო ბაზარზე დიდი ადგილი დაიკავა სააქციო ტოკენების შეთავაზებებმა (STOs). განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ასეთი შეთავაზებები სრულად რეგულირებულია, ავტომატიზებულია, ახდენს ქონებრივი უფლებების ჰიბრიდიზაციას და მოქნილია, ექვემდებარება ფულის გათეთრებისა და მომხმარებლის/ინვესტორის ცოდნის მექანიზმებს და იძლევა მარტივ და განუსაზღვრელ შესაძლებლობებს დამატებითი ინვესტიციების მოსაზიდად. ყველაზე რეგულაციური რაც ამ სისტემას აქვს, არის ის, რომ ყველაზე პატარა ქვეყნებიც კი, რომელთაც შეზღუდული ბუნებრივი და ადამიანური რესურსი აქვთ, და შესაბამისად ინვესტიციების მოზიდვის მცირე შანსები, იქმნიან პირობებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა და ადგილობრივი ბიზნესის განვითარება. ამიტომაც, ისეთი ქვეყნები, როგორც არიან გიბრალტარი, მალტა, ლუქსემბურგი, ბერმუდა, ლისტენშტაინი, ესტონეთი, შვეიცარია, თავიდანვე შეუდგნენ მიმზიდველი კანონმდებლობისა და პირობების შექმნას.

ამერიკის შვერთებული შტატების გადაცვლების კომისიამ ასევე დაადგინა შესაბამისი რეგულირებები. ამ რეგულირებების მიხედვით ხდება დივერსიფიკაცია სხვადასხვა ტიპის ტოკენიზაციისა. ნებისმიერი შეთავაზება, რომელიც მიზნად ისახავს დამატებითი თანხების მოზიდვას და ახდენს საკუთარ მომხმარებლებსა თუ პარტნიორებზე დივიდენდის განაწილებას, აუცილებლად უნდა გაიაროს რეგისტრაცია კომისიაში.

შესაბამისი რეგულირება მოახდინა ევროკავშირმაც. განსხვავება მოსაზიდი საინვესტიციო პაკეტების რაოდენობაშია, თუ ამერიკაში ეს 50 მილიონის ფარგლებშია, ევროკავშირში წლიურად 8 მილიონამდე თანხის მოზიდვაა შესაძლებელი.

აღნიშნულის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია შესაბამისი იურიდიული უზრუნველყოფის გარეშე. გლობალური იურიდიული კომპანიები არათუ დაინტერესებული არიან შესაბამისი იურიდიული მომსახურების გაწევით, არამედ დაინტერესებულნი არიან ბლოკჩეინ პროექტებში მონაწილეობით, რადგან ნებისმიერი ტოკენიზაციის პროექტი საჭიროებს იურიდიულ უზრუნველყოფას.

მაგალითად, იმისათვის, რომ რომელიმე STO პროექტი განხორციელდეს საჭიროა: 1. შესაბამისი პროსპექტუსის,

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ავტომატურად აღსრულდება გონიერი კონტრაქტის მეშვეობით. ეს საკმაოდ დამინტრიგებელი გადაწყვეტაა, რადგან ავტომატიზებული აღსრულება აღარ საჭიროებს სახელმწიფო სასამართლოს მიერ დადგენილ აღსრულების კრიტერიუმების შესრულებას. ნიუიორკის 1958 წლის კონვენცია საარბიტრაჟო გადაწყვეტების აღსრულების თაობაზე მოითხოვს, რომ გადაწყვეტილება იყოს წერილობითი სახით წარმოდგენილი. შესაბამისად, იმისათვის, რომ გონიერი კონტრაქტით ავტომატიზებულად განხორციელებული გადაწყვეტილება აღსრულდეს, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან დეცენტრალიზებულ ჩანაწერთა აღიარება.

შეთავაზების წარდგენა, 2. იურისდიქციის სწორედ შერჩევა პროექტიდან გამომდინარე, 3. რეგისტრაცია და სამართლებრივი უზრუნველყოფა, 4. პოტენციური დავებისთვის სისტემის მომზადება, 5. ტოკენიზაციით განსაზღვრული უფლებრივი გადანაწილების უზრუნველყოფა.

არბიტრაჟი

დავების მოგვარების ნაწილში სულ უფრო პოპულარული ხდება ბლოჩეინ საარბიტრაჟო სასამართლოების შექმ-

ნა. ასეთი საარბიტრაჟო სასამართლო პირველად 2018 წლის ბოლოს პოლონეთში შეიქმნა. არბიტრაჟის განხორციელების ორი გზა არსებობს: ე.წ. ქსელის გარე და ქსელის შიგნით. არბიტრაჟი გონიერი კონტრაქტების მეშვეობით ხორციელდება და მხარეებისთვის უამრავ დროსა და თანხებს ზოგავს.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ავტომატურად აღსრულდება გონიერი კონტრაქტის მეშვეობით. ეს საკმაოდ დამინტრიგებელი გადაწყვეტაა, რადგან ავტომატიზებული აღსრულება აღარ საჭიროებს სახელმწიფო სასამართლოს მიერ დადგენილ აღსრულების კრიტერიუმების შესრულებას. ნიუიორკის 1958 წლის კონვენცია საარბიტრაჟო გადაწყვეტების აღსრულების თაობაზე მოითხოვს, რომ გადაწყვეტილება იყოს წერილობითი სახით წარმოდგენილი. შესაბამისად, იმისათვის, რომ გონიერი კონტრაქტით ავტომატიზებულად განხორციელებული გადაწყვეტილება აღსრულდეს, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან დეცენტრალიზებულ ჩანაწერთა აღიარება.

დასკვნითი კომენტარი

ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენების სულ უფრო ზრდასთან ერთად იზრდება კომერციულ და საჯარო სფეროებში გონიერი კონტრაქტებისა და ტოკენიზაციის გამოყენება. ეს გარდაუვლად იწვევს შესაბამისი დავების გადაწყვეტის მექანიზმების წარმოშობასა და განვითარებას. სასამართლო და არასასამართლო დავებისათვის შესაბამისი კანონმდებლობა, კომპეტენცია, ცოდნა და აღსრულების მთელი ეკოსისტემაა საჭირო. იმისათვის, რომ ქართული იურისპრუდენცია მზად შეხვდეს ამ გამოწვევებს, სათანადო ტრენინგი და მომზადება აუცილებელია.

ამავე დროს, ბლოკჩეინის სისტემები საჭიროებს დამატებით კვლევებსა და მუდმივ განახლებულ მიდგომებს, მათ შორის, პირველ რიგში იურისპრუდენციის სფეროში, რათა მუდმივად განვითარებად ტექნოლოგიებს სამართლის საზოგადოებამაც ფეხი აუწყოს.



კონფიდენციალობის დაცვა საადვოკატო საქმიანობაში

ავტორი: ციცინო ცხვედიანი
ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, ადვოკატი

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი საადვოკატო საქმიანობის ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს, მათ შორის, საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი, კონფიდენციალობის პრინციპია.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე თავში ჩამოთვლილია ადვოკატის ის ზოგადი უფლებები და ვალდებულებები, რომლებითაც მან უნდა იხელმძღვანელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას. კანონის მე-7 მუხლი ადვოკატის ერთ-ერთ ვალ-

დებულებად მიიჩნევს ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვას და განმარტავს, რა მოიაზრება პროფესიულ საიდუმლოებაში. კანონის ამ ნორმის შესაბამისად, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში არსებობს მე-4 მუხლი-კონფიდენციალობის პრინციპის შესახებ.

კონფიდენციალობის პრინციპი ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი პრინციპია. კლიენტი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ის ინფორმაცია, რაც მისგან ან მის საქმესთან დაკავშირებით ცნობილი გახდება ად-

ვოკატისათვის, რჩება საიდუმლოდ და არასოდეს არ იქნება მის წინააღმდეგ გამოყენებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიენტს ადვოკატის ნდობა არ ექნება და ვერც ადვოკატი დაიცავს კლიენტს სრულფასოვნად ასეთ ვითარებაში, რადგან მას სრულად არ ექნება ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რის მიხედვითაც მან უნდა განსაზღვროს შემდგომი მოქმედებების ტაქტიკა და სტრატეგია.

რა არის კონფიდენციალური ინფორმაცია? ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ქვეპუნქტი ამ კითხვას ასე პასუ-

ხობს: კონფიდენციალურია ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, ასევე, იმ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.

ნებისმიერ ინფორმაციაში, რომელიც ეთიკის კოდექსის თანახმად კონფიდენციალურია, მოიაზრება კლიენტის ვინაობაც. ადვოკატები ამ საკითხს მეტად ფრთხილად უნდა მოექცნენ. სოციალურ ქსელებში ხშირად ქვეყნდება ადვოკატთა ინფორმაციები კონკრეტული კლიენტების ვინაობის, საქმის შინაარსის მითითებით და ფოტოსურათების გამოქვეყნებითაც კი. ყველა ასეთი შემთხვევა წინასწარ შეთანხმებული უნდა იყოს კლიენტთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება კონფიდენციალობის პრინციპის უხეში დარღვევა, რაზეც ადვოკატს აუცილებლად მოეთხოვება პასუხი.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის თანახმად, საადვოკატო საქმიანობა მოიცავს ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისთვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა, შესაბამისად, კლიენტად მოიაზრება არა მხოლოდ ის პირი, რომლის კონკრეტულ სისხლის სამართლის (სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ) საქმესაც ადვოკატი აწარმოებს სასამართლოში ან სამართალდამცავ ორგანოებში, არამედ ნებისმიერი პირი, რომელმაც ადვოკატს, თუნდაც მხოლოდ იურიდიული რჩევისათვის მიმართა და მათი ურთიერთობა ამ რჩევის მიღებით დამთავრდა. ამდენად, კლიენტის ცნება ძალიან ფართოა და ადვოკატს ევალება კლიენტისაგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის დაცვა.

ნებისმიერ ინფორმაციაში, რომელზეც კონფიდენციალობა ვრცელდება, რა თქმა უნდა, არ შედის აბსოლუტურად ყველა ინფორმაცია, რაც ადვოკატმა კლიენტისაგან მიიღო. კლიენტმა შესაძლოა

ისაუბროს ისეთ საკითხებზეც, რაც საერთოდ არ ეხება საქმეს (სანამ ადვოკატი ბოლომდე არ მოისმენს, ვერ განსაზღვრავს, ეს ინფორმაცია სჭირდება თუ არა და, შესაძლებელია, ბევრი არასაჭირო და უსარგებლო ინფორმაცია მიიღოს კლიენტისგან), შეიძლება დაასახელოს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები და ა. შ. ასეთ ინფორმაციაზე კონფიდენციალობის პრინციპი არ გავრცელდება. კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევად არ შეიძლება ჩაითვალოს ადვოკატის მიერ ისეთი ზოგადი ინფორმაციის გამჟღავნება, რაც კლიენტის (ან მისი საქმის) იდენტიფიცირების საშუალებას არ იძლევა.

მნიშვნელოვანია ის საკითხიც, რომ ადვოკატმა არა მხოლოდ თვითონ უნდა დაიცავს კონფიდენციალობა, არამედ უნდა მიიღოს ზომები, რომ ამ ინფორმაციაზე მესამე პირებსაც არ მიუწვდებოდეთ ხელი, უფრო მეტიც, ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებსა და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ არიან მოწვეულნი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის დაცვა.

აქვს თუ არა კონფიდენციალობას ხანდაზმულობა? ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვნად კატეგორიულია: კანონის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია დაიცავს პროფესიული საიდუმლო გასული დროის მიუხედავად, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსშიც მითითებულია, რომ კონფიდენციალობა დროში შეზღუდული არ არის.

კონფიდენციალობა ზოგჯერ შეიძლება უნებლიედ დაირღვეს, ზოგჯერ კი განზრახვაც. ცხადია, კონფიდენციალობის პრინციპის განზრახ დარღვევა უფრო მძიმე გადაცდომაა. პროფესიული ეთიკის კოდექსი უთითებს, რომ ადვოკატმა კონფიდენციალური ინფორმაცია განზრახ არ უნდა გამოიყენოს კლიენტის საწინააღმდეგოდ, ასევე, საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს.

როგორც ვხედავთ, ადვოკატს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აწევს კონფი-

დენციალობასთან დაკავშირებით. თავისთავად ჩნდება კითხვა, როდესაც არის ისეთი შემთხვევა, რომ ადვოკატისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს რაიმე კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, როგორ უნდა მოქმედოს იგი, არჩევანი გააკეთოს, გასცეს ინფორმაცია და კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევისათვის დაისაჯოს, სამაგიეროდ ის საკითხი მოაგვაროს, რისთვისაც ეს ინფორმაცია სჭირდება, თუ არ გასცეს ინფორმაცია და არ დაისაჯოს, მაგრამ ვერ მოაგვაროს ის საკითხი, რისთვისაც სჭირდებოდა ეს ინფორმაცია.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი (შესაბამისად, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსიც) ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც ადვოკატს შეუძლია გასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია, მაგრამ ეს შემთხვევები შეზღუდულია, კერძოდ, ადვოკატს უფლება აქვს გასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია სამ შემთხვევაში:

- ▶ კლიენტის თანხმობით;
- ▶ თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებული და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ დაკული უნდა იყოს ის პირობა, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისათვის წინასწარ არ აუკრძალავს;
- ▶ თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისგან ან მოთხოვნისაგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის.

ამდენად, კონფიდენციალობის პრინციპი ამოწურავად და გასაგებადაა გადმოცემული ზემოთ მითითებულ ნორმებში და ითვალისწინებს როგორც კლიენტის, ასევე ადვოკატის ინტერესებსაც, რის გამოც მისი დარღვევის შემთხვევები ნაკლებადაა. როგორც ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პრაქტიკა ცხადყოფს, კონფიდენციალობის პრინციპს საქართველოს ადვოკატები საკმაოდ კარგად იცავენ, რადგან თითქმის არ არის საჩივრები ადვოკატების მიერ კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით.



Cour
Pénale
Internationale

International
Criminal
Court

ალ-ბაშირის
ცალმხრივი ბილეთი
ჰააგისკენ: შესუსტდა
კი სახელმწიფო
შეთავრების იმუნუტეტი?



ავტორი: სოფიო ჩაქაძე პროექტის უფროსი ოფიცერი, ევროპის საბჭო

2020 წლის 11 თებერვალს, სუდანის მთავრობამ განაცხადა, რომ ყოფილ პრეზიდენტ ალ ბაშირს გადასცემდა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს.

10 წელზე მეტია, რაც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ ბაშირის დაკავების ორდერი გამოცა, თუმცა აქამდე მისი აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდა. აღსრულების პრობლემები დაკავშირებული იყო სახელმწიფო ლიდერების იმუნიტეტის საკითხთან, რის გამოც რომის წესდების ხელმძღვანელი სახელმწიფოებიც კი უარს აცხადებდნენ ალ ბაშირის დაკავებასა და საერთაშორისო სასამართლოსთვის გადაცემაზე.

როგორც წყაროები უთითებენ, ალ ბაშირმა 7 წლის განმავლობაში 75-ჯერ იმოგზაურა 22 ქვეყანაში. ეს ხდებოდა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს დაკავების ორდერის ფონზე, რაც, ცხადია, ამ სასამართლოს ავტორიტეტისთვის დადებითი მომტანი არ ყოფილა. სუდანის მთავრობის გადაწყვეტილებამ, გადასცეს ალ ბაშირი საერთაშორისო სასამართლოს, ერთის მხრივ გააჩინა იმედი სამართლის აღსრულების მომლოდინეთათვის, მეორეს მხრივ კი წარმოშვა შეკითხვა: შეცვლის თუ არა ეს გადაწყვეტილება საერთაშორისო სამართლის მიდგომას სახელმწიფო ლიდერების იმუნიტეტის საკითხზე? ეს სტატია ამ კითხვებზე პასუხის გაცემას შეეცდება.

რა მოხდა სუდანში?

დარფურის რეგიონი სუდანის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, ლიბიას, ჩადისა და აფრიკის ცენტრა-

ლურ რესპუბლიკის საზღვართან, 6 მილიონამდე მოსახლით. დარფურის კონფლიქტს არაერთი ისტორიული, კულტურული, ეთნიკური მხარე აქვს, თუმცა ამ პროცესში ერთ-ერთი მთავარი როლი ბუნებრივი რესურსებისთვის ბრძოლამ შეასრულა. ყველაზე დიდი რაოდენობის ნავთობი სამხრეთსა და დასავლეთში – დარფურში აღმოჩნდა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ რეგიონის არაფორმალური პროსახელისუფლებო არაბული შეიარაღებული დანაყოფები და ადგილობრივი აჯანყებულთა დაჯგუფებები. გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მონაცემებით, კონფლიქტს 300 000-მდე ადამიანი ემსხვერპლა.

სუდანში მომხდარი სავარაუდო დანაშაულები 2005 წლიდან მოეჭვა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს დაკვირვების ქვეშ. ეს ის დროა, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის („გაერო“) უშიშროების საბჭომ სასამართლოს გადასცა სუდანის სიტუაცია გამოსაძიებლად პოტენციური ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა დარღვევების გამო.

რეზოლუცია 1593 პრემიუმულაში უთითებდა, რომ სუდანში არსებული სიტუაცია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემქმნელი იყო და საერთაშორისო სისხლის სამართლოს პროკურორს დარფურში ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების გამოძიებისკენ მოუწოდებდა.

ალ ბაშირი და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო

ალ ბაშირი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რადარში 2009 წლის 4 მარტს მოექცა. ბაშირის დაკავების ორდერი რამდენიმე ასპექტის გამო გახლდათ საერთაშორისო სამართლისთვის საინტერესო: ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მოქმედ პრეზიდენტზე გამოიცა ორდერი და ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საერ-

თაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ გენოციდის ბრალდებაზე დაიწყო მსჯელობა.

საერთაშორისო სისხლის სამართლის იურისდიქციის საფუძვლები

რომის წესდება, რომელიც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სადამფუძნებლო დოკუმენტია, ადგენს სასამართლოს იურისდიქციას: ხელმძღვანელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან ხელმძღვანელი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ ჩადენილი ქმედების გამო. ალ ბაშირი და, ზოგადად, დარფურის სიტუაცია არცერთ ამ საფუძველში არ ჯდება, ვინაიდან სუდანი რომის წესდების ხელმძღვანელი მხარე არ ყოფილა. შესაბამისად, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო ასევე უპრეცედენტო გადაწყვეტილება და თავად, თავისი რეზოლუციით გადასცა დარფურის სიტუაცია საერთაშორისო სისხლის სამართლოს გამოსაძიებლად. ეს მექანიზმი, ასევე, გაწერილია რომის წესდებაში. შესაბამისად, სასამართლოს მიეცა შესაძლებლობა ემსჯელა დარფურის სიტუაციაზე და ასეც მოიქცა. თუმცა, გამოწვევად რჩებოდა და კვლავ რჩება ძებნაში მყოფი ალ ბაშირის მოხელთება, რის გამოც წარმოიშვა საერთაშორისო სამართლებრივად საინტერესო – იმუნიტეტის საკითხები.

სახელმწიფო მეთაურების იმუნიტეტი საერთაშორისო სამართალში

საერთაშორისო სისხლის სამართალმა, მიუხედავად მეორე მსოფლიო ომის შემდგომ არაერთი მცდელობისა, მაინც ვერ მიაღწია კონდიციას, როდესაც თამამად, ხელაღებით და ნათლად მიეთითება, რომ სახელმწიფო მეთაურები არ სარგებლობენ აბსოლუტური იმუნიტეტით. საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლომ საქმეში კონგო ბელგიის წინააღმდეგ, 2000 წელს იმსჯელა მოქმედი სავარეო საქმეთა მინისტრის იმუნიტეტის საკითხზე. სასამართლომ ამ საქმეში ხაზი გაუსვა

იმუნიტეტის მნიშვნელობას და საჭიროებას სახელმწიფო მეთაურების შემთხვევაში. იმუნიტეტები სახელმწიფოს წარმომადგენლებს არ ენიჭებათ პირადი სარგებლის მისაღებად; იმუნიტეტის მთავარი დანიშნულებაა სახელმწიფოს სახელით ფუნქციების ეფექტიანი განხორციელება-აღნიშნა სასამართლომ. სწორედ ამ მიზნით, საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლომ უარი თქვა განსხვავების დადგენაზე ოფიციალური და პირადი მანდატით განხორციელებულ ქმედებებს შორის. სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფო პირების იმუნიტეტის საკითხი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით იყო გამყარებული და, რომ მასში გამოწვევები არ არსებობდა თუნდაც ომის ან კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში. თუმცა, სასამართლომ ამავე გადაწყვეტილებაში იმასაც ნათლად გაუსვა ხაზი, რომ იმუნიტეტი არ იყო დაუსჯელობის სინდრომის წამახალისებელი, ან მისი სინონიმი. ის ფაქტი, რომ სახელმწიფო მეთაურებს, საგარეოს საქმეთა მინისტრებს ჰქონდათ იმუნიტეტი სახელმწიფო ფუნქციონირებაში მათი როლიდან გამომდინარე, სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ეს პირები თანამდებობაზე ყოფნისას, ან შემდგომ, არ მოექცეოდნენ სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ. ამის მაგალითებად კი დასახელდა ამ პირების გასამართლება თავიანთ ქვეყანაშივე (რაც, პრინციპში, იმუნიტეტის მოხსნას უთანაბრდებოდა), გასამართლება საერთაშორისო ტრიბუნალების, მათ შორის კი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ. შესაბამისად, საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლომ არ გამოიცილა საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე თუნდაც მოქმედი პრეზიდენტის პასუხისმგებლობის დადგენის შესაძლებლობა. ამავე მიუთითებს ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდას საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალების წესდებები, ასევე სიერა ლეონეს სპეციალური სასამართლოს წესდება.

მიუხედავად ამისა, კვლავ გამოწვევად რჩებოდა (და დღემდე რჩება) ალ ბაშირის სასამართლოსადმი გადაცემა და დაკავების ორდერის აღსრულება; ამის ერთ-ერთი სამართლებრივი მიზეზი (გარდა პოლიტიკური მიზეზებისა) არის ის ფაქტი, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლოს საკუთარი პოლიციური ძალები არ გააჩნია; ის მთლიანად დამოკიდებულია წევრი სახელმწიფოების აღსრულების მექანიზმებზე. წევრი სახელმწიფოები კი მიუთითებდნენ, რომ ალ ბაშირს „ვერ შეეხებოდნენ“, რადგან მოქმედ პრეზიდენტს სხვა სახელმწიფოს იურის-

გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო ასევე უპრეცედენტო გადაწყვეტილება და თავად, თავისი რეზოლუციით გადასცა დარფურის სიტუაცია საერთაშორისო სისხლის სამართლოს გამოსაძიებლად. ეს მექანიზმი, ასევე, განვირეოდა რომის წესდებაში.

დიქციისგან აბსოლუტური იმუნიტეტი იცავდა. მოკლედ რომ დავასკვნათ, მთავარი იყო ალ ბაშირის საერთაშორისო სასამართლომდე მიყვანა და მისი იმუნიტეტი შეწყვეტა არსებობას, თუმცა ეს ვერ ხერხდებოდა სწორედ იმიტომ, რომ მისი იმუნიტეტი განაგრძობდა სახელმწიფოების შიდა იურისდიქციებში მოქმედებას.

რომის წესდება, სახელმწიფო მეთაურების იმუნიტეტი და 27-ე მუხლი 98-ე მუხლის წინააღმდეგ

რომის წესდების 27.2-ე მუხლი მიუთითებს, რომ პირის სამსახურეობ-

რივ მდგომარეობასთან დაკავშირებული იმუნიტეტები არ წარმოადგენს დაბრკოლებას საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთვის იურისდიქციის გავრცელებისას. რომის წესდება 27-ე მუხლით, ასევე, ავალდებულებს წესდების ხელმძღვანელ სახელმწიფოს, დაუყოვნებლივ, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ დაკავების ორდერის გამოცემისთანავე დააკავოს ძებნაში მყოფი პირი. თუმცა, რომის წესდებაშივე გვხვდება 98-ე მუხლიც, რომელიც 27-ე მუხლის მკაცრ პოზიციას შედარებით არბილებს და მიუთითებს, რომ:

სასამართლოს არ შეუძლია წარადგინოს თხოვნა გადაცემის ან დახმარების შესახებ, რომელიც აიძულებს თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს იმოქმედოს თავისი საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულების საწინააღმდეგოდ სახელმწიფოს ან პირის დიპლომატიური იმუნიტეტის ან მესამე სახელმწიფოს საკუთრების მიმართ, სანამ სასამართლო არ მიიღწევს ამ მეორე სახელმწიფოსთან თანამშრომლობას იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე.

სასამართლოს არ შეუძლია წარადგინოს თხოვნა გადაცემის შესახებ, რომელიც აიძულებს თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს იმოქმედოს საერთაშორისო შეთანხმებიდან გამომდინარე თავისი ვალდებულებების საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმადაც საჭიროა გადაცემა სახელმწიფოს თანხმობა პირის სასამართლოსათვის გადაცემის თაობაზე, თუ სასამართლო თავდაპირველად არ მიიღწევს გადაცემა სახელმწიფოს თანამშრომლობას გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის საქმეში.

სწორედ 98-ე მუხლის შეპირისპირება 27-ე მუხლთან გახდა არაერთგვაროვნების ერთგვარი საბაზის მიზეზიც, როდესაც არაერთმა სახელმწიფომ უარი განაცხადა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ გამოცემული დაკავების ორდერის აღსრულებაზე და არ გადასცა სა-

სამართლოს ალ ბაშირი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით მოგზაურობდა მეზობელ ქვეყნებში.

დაკავების ორდერის გამოცემის შემდგომ, ალ ბაშირმა არაერთხელ იმოგზაურა ქვეყნებში, რომლებიც არ არიან საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წევრები (საუდის არაბეთი, ეთიოპია, ყატარი), თუმცა ალ ბაშირი არ მორიდებია წესდების ხელმოწერა სახელმწიფოებში ვიზიტსაც, რაც, სამწუხაროდ, დაკავების ორდერის იგნორირებით დასრულდა. სამხრეთ აფრიკა, იორდანია, უგანდა-ეს არასრული ჩამონათვალა სახელმწიფოებისა, რომლებსაც რომის წესდებით აღებული ჰქონდათ ვალდებულება, ეთანამშრომლათ სასამართლოსთან ძებნაში მყოფი პირის დაკავების მიზნით, თუმცა ამოდ. ამას მოჰყვა კიდევ რეაგირება სასამართლოს მხრიდან: 2011 წელს მალავის და ჩადის დაუდგინდა დარღვევა, 2014 წელს – კონგოს, 2017 და 2018 წლებში – სამხრეთ აფრიკასა და იორდანისას.

ამ კონტექსტში, განსხვავებულია და ცალკე განხილვას იმსახურებს იორდა-

ნიის შემთხვევა, რომელსაც 2019 წლის ივნისში საერთაშორისო სისხლის სამართალში დაუდგინა დარღვევა. განსხვავებით სხვა მსგავსი გადაწყვეტილებებისგან, ამჯერად სასამართლო სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი არ ცნობდა სახელმწიფოს მეთაურებისთვის აბსოლუტურ იმუნიტეტს, შესაბამისად იორდანისას არაფერი აბრკოლებდა ალ ბაშირის დაკავების და სასამართლოსთვის გადაცემისგან. უნდა აღინიშნოს, რომ წინა მსგავს შემთხვევებში (მაგალითად, პირველმა ინსტანციამ იორდანის მიმართ და სამხრეთ აფრიკის მიმართ), მართალია, ასევე დაადგინა სახელმწიფოების მიერ რომის წესდების ე.წ თანამშრომლობის მუხლის დარღვევა, თუმცა იქ მოტივაციას წარმოადგენდა გაეროს უშიშროების საბჭო და ის ფაქტი, რომ დარღვევის სიტუაცია სწორედ უშიშროების საბჭოს რეზოლუციით გადაეცა სასამართლოს გამოსაძიებლად; შესაბამისად, ამ რეზოლუციიდან მომდინარე ვალდებულებების შესრულება არამართო საერთაშორისო სისხლის სამართლის წევრ სახელმწიფოებს, არამედ გაეროს წევრ ყველა სახელმწიფოს ეკისრებოდა.

2020 წლის 11 თებერვალს სუდანის მთავრობამ განაცხადა, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის გადასცემს ყოფილ პრეზიდენტს, ალ ბაშირს. ამ მოულოდნელმა განაცხადმა საკმაოდ ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა საერთაშორისო სამართალში, მათ შორის მთავარი: გადაიხედა თუ არა ამ გზით სახელმწიფოს მეთაურთა იმუნიტეტის საკითხი.

და მაინც, არსებობს თუ არა საერთაშორისო სისხლის სამართლის წინაშე აბსოლუტური იმუნიტეტი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა კვლავ შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ალ-ბაშირის საქმის გარშემო დატრიალებულმა პერიპეტეიებმა გარკვეული ნათელი მოჰფინა სიტუაციას



და სცადა იმუნიტეტების შესუსტება, ეს, ავტორის აზრით, კითხვაზე პასუხს მაინც არ სცემს. რატომ? იმიტომ, რომ ალ-ბაშირის საქმე არ გახლდათ „კლასიკური“ საერთაშორისო სისხლის სამართლის განსჯადი საქმე, სადაც მხოლოდ ამ სასამართლოს ეგიდით დადგინდა იურისდიქცია. ალ-ბაშირის საქმე და დარღვევის სიტუაცია, როგორც ზემოთ აღინიშნა, გაეროს უშიშროების საბჭოს ეგიდით გადაეცა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს განსახილველად. ეს კი არსებითად ცვლის სამართლებრივ რეჟიმს.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც გაეროს ქარტიის მე-7 თავის ქვემ არის მიღებული, სავალდებულოა შესასრულებლად გაეროს წევრი 193-ვე სახელმწიფოსთვის. სწორედ ამგვარი შინაარსის იყო რეზოლუცია, რომლითაც უშიშროების საბჭომ დარღვევის სიტუაცია გადასცა გამოსაძიებლად საერთაშორისო სისხლის სამართლოს. გარდა რეზოლუციის სავალდებულო ხასიათისა, გაეროს წესდების 103-ე მუხლი მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ გაეროს წევრების ვალდებულებები წინააღმდეგობაში მოდის მათ სხვა რო-

მელიმე შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებებთან, უპირატესი ძალა სწრედ გაეროს წესდებიდან მომდინარე ვალდებულებებს აქვთ.

შესაბამისად, თეორიულად ისევ არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ ალ ბაშირის საერთაშორისო სისხლის სამართლოსთვის გადაცემა გამართლდეს არა სახელმწიფოს ლიდერების იმუნიტეტის არარსებობით, არამედ გაეროს წესდებიდან მომდინარე ვალდებულებებით; შესაბამისდ, ამ ეტაპზე კვლავ რთულია იმის პროგნოზირება, რა ბედი ეწევა სხვა რომელიმე

სახელმწიფოს მოქმედ ლიდერს, თუ მათ დაადასტურებენ საერთაშორისო სისხლის სამართლის წესდებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში-დაიცავს მათ იმუნიტეტი, თუ რომის წესდება გადაწონის?

ამ კითხვაზე ყველაზე დამაჯერებელი პასუხის გასაცემად გამოდგებოდა საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა. ვინ იცის, იქნებ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიმართოს კიდევ სასამართლოს ამ კითხვით?!



ავტორი: ბესარიონ ბოხაშვილი
გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში

გამონათვის თავისუფლება, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ქვაკუთხედს და როგორც საზოგადოების მთლიანად, ასევე თითოეული ინდივიდის თვითრეალიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. გამონათვის თავისუფლება

უზრუნველყოფს არა მხოლოდ მოსაზრების, ან ინფორმაციის გავრცელების უფლებას, არამედ საზოგადოების უფლებას მიიღოს იგი. ოცდამეერთე საუკუნეში, ინტერნეტი და სოციალური ქსელი გახდა ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება ადამიანებისათვის ინფორმაციის მიღებისა და მისი გავრცელებისათვის.

გაეროს სპეციალური მომხსენებლის მიერ გამოქვეყნებული მოხსენების თანახმად, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების პოპულარიზაცია და დაცვაში, „სახელმწიფოების მიერ ინტერნეტში არსებული ინფორმაციის დაბლოკვა ან გაფილტვრის ტექნოლოგია ხშირად შეუსაბამოა გამოხატვის თავისუფლების იმ ვალდებულებებთან, რომელიც სახელმწიფოებს აკისრიათ“². სპეციალური მომხსენებელი ასევე შემოთავაზებს გამოთქვას, რომ ინტერნეტის შეზღუდვა თუ ბლოკირება, ძალზედ ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ინტერნეტის მომხმარებლებზე და ხელს უშლის მათ მიიღონ ან გაავრცელონ ინფორ-

მაცია მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სოციალურ ან საზოგადოებრივად საინტერესო სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ასეთ დროს იბლოკება ოპოზიციური პარტიების ვებ-გვერდები, დამოუკიდებელი მედია და სოციალური ქსელის პლატფორმები, როგორცაა Twitter და Facebook და სხვ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ხელმისაწვდომობის, ინფორმაციის უზარმაზარი რაოდენობის შენახვისა და კომუნიკაციის შესაძლებლობის გათვალისწინებით, ინტერნეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების მიერ ახალი ამბების ან საზოგადოებრივად საინტერესო საკითხებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაში და ზოგადად ინფორმაციის გავრცელებაში³. შესაბამისად, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ როგორც ინტერნეტი, ასევე ინტერნეტის მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია დაცულია ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით (გამონათვის თავისუფლება).

თუმცა, ნათელია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი (გამონათვის თავისუფლება) არ არის აბსოლუტური უფლება და გარკვეულ შემთხვევებში იგი ლეგიტიმურად შეიძლება შეიზღუდოს. ამავე დროს, ხელისუფლების ორგანოებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ გამონათვის თავისუფლება იცავს არა მხოლოდ იმ ინფორმაციასა და იდეებს, რომლებიც დადებითად და კეთილგანწყობილად შეიძლება იქნეს მიჩნეული, არამედ ასევე იმ იდეებსა და მოსაზრებებს, რომელიც შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი და ამაღლებელი შეიძლება იყოს. ევროპული სასამართლოს განმარტებით სწორედ ეს არის პლურალიზმი, ტოლერანტობა და გლობალურად აზროვნება, რომლის გარეშეც არ არსებობს „დემოკრატიული საზოგადოება“⁴.

წინამდებარე სტატია ეხება სწორედ ინტერნეტსა და სოციალურ ქსელთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ უახლეს სტანდარტებს და მიმოიხილავს პრეცედენტული სამართლის განვითარებას ამ მიმართულებით.

ინტერნეტის შეზღუდვასთან დაკავშირებული სტანდარტები

ევროპული სასამართლოს განმარტებით ინტერნეტი გახდა ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, რომლის მეშვეობითაც ინდივიდები ეფექტიანად ახდენენ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლების განხორციელებას⁵. კონვენციის მე-10 მუხლი კი ეხება არა მხოლოდ ინფორმაციის შინაარსს, არამედ გავრცელების საშუალებებსაც, რადგან ამ უკანასკნელზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა აუცილებლად ახდენს ზეგავლენას ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებაზე⁶. შესაბამისად, ინტერნეტის, რომელიც სასამართლოს ზემოხსენებული განმარტებიდან გამომდინარე ცალსახად ხდება გამონათვის თავისუფლების დაცვის ფარგლებში, შეზღუდვა უნდა აკმაყოფილებდეს იმ კრიტერიუმებს,

რომლებიც მოცემულია ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში: 1) განსაზღვრული უნდა იყოს კანონმდებლობით; 2) ემსახურებოდეს შესაბამის კანონიერ მიზანს; 3) აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში (პროპორციულობა).

წყება საქმეებში, რომელიც ევროპულმა სასამართლომ განიხილა ინტერნეტის ან გარკვეულ ვებ-გვერდებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვასთან დაკავშირებით, სასამართლომ განსაკუთრებული ტვირთი დააკისრა სახელმწიფოებს, რომ მათ დამაჯერებლად წარმოედგინ-

გამონათვის თავისუფლება იცავს არა მხოლოდ იმ ინფორმაციასა და იდეებს, რომლებიც კეთილგანწყობილად შეიძლება იქნეს მიჩნეული, არამედ ასევე იმ იდეებსა და მოსაზრებებს, რომელიც შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი და ამაღლებელი შეიძლება იყოს.

academic/), რომელზეც იგი აქვეყნებდა თავის აკადემიურ ნაშრომებს და მოსაზრებებს სხვადასხვა თემაზე. ვებ-გვერდი შექმნილი იყო Google Sites ვებ-გვერდის შექმნისა და ჰოსტინგის სერვისის გამოყენებით (<http://sites.google.com/>). 2009 წელს თურქეთის ხელისუფლებამ სისხლის სამართალწარმოება აღძრა მოსარჩელის წინააღმდეგ, მუსტაფა ქემალ ათა თურქის შერაცხულობის გამო, ხოლო თურქეთის სასამართლოებმა მიიღეს გადაწყვეტილება, დაებლოკათ Google Sites პორტალი, რომლის ერთ-ერთი ვებ-გვერდიც ეკუთვნოდა მომჩივანს. გადაწყვეტილების შედეგად, დაიბლოკა არამხოლოდ მომჩივანის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომობა, არამედ Google-ის ყველა სხვა საიტზე წვდომა. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ხსენებული წარმოადგენდა გამონათვის თავისუფლების დარღვევას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ Google Sites იყო Google-ის სერვისი, რომელიც მიზნად ისახავდა ვებ-გვერდების, მათ შორის საინფორმაციო და საზოგადოებრივად საინტერესო საკითხებთან დაკავშირებული ვებ-გვერდების შექმნას და გავრცელებას და შესაბამისად, წარმოადგენდა გამონათვის თავისუფლების განხორციელების საშუალებას⁸. ამავე დროს, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ამგვარი ზომების განხორციელებამ ზეგავლენა მოახდინა ინტერნეტის და ერთ-ერთი უმსხვილესი გვერდის – Google-ის ხელმისაწვდომობაზე, რაც ცალსახად წამოჭრიდა მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს⁹. ევროპული სასამართლომ განმარტებით, ხსენებულ საქმეში ადგილი ჰქონდა გამონათვის თავისუფლების დარღვევას, რადგან მოქმედი კანონმდებლობა არ იყო ჯეროვნად განჭვრეტადი და არ ითვალისწინებდა მსხვილი საძიებო სისტემის დაბლოკვის შესაძლებლობას. აღნიშნული კანონმდებლობა ასევე არ ითვალისწინებდა იმის შესაძლებლობას, რომ ეროვნულ სასამართლოებს განეხილათ მთლიანად ინტერნეტ საძიებო სისტემის დაბლოკვის საკითხი. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა,

ნათ ის არგუმენტები, რომლებიც მეტყველებდნენ შეზღუდვის კანონიერებასა და პროპორციულობასთან დაკავშირებით. ინტერნეტის/გარკვეული ვებ-გვერდების დაბლოკვასთან დაკავშირებული საქმეები ძირითადად განხილული იქნა სასამართლოს მიერ თურქეთის, რუსეთის ფედერაციის, ესტონეთისა და ლიტვის წინააღმდეგ.

ერთ-ერთ პირველ საქმეში Ahmet Yildirim v. Turkey⁷ მომჩივანი ფლობდა და მართავდა ვებ-გვერდს (<http://sites.google.com/a/ahmetyildirim.com.tr/>



რომ ადგილი ჰქონდა გამოხატვის თავისუფლების დარღვევას, რადგანაც განხორციელებულმა შეზღუდვამ ვერ დააკმაყოფილა შეზღუდვის ლეგიტიმურობისათვის კონვენციის მე-10 მუხლით დადგენილი პირველი კრიტერიუმი (არ იყო ჭეშოვნად გათვალისწინებული კანონმდებლობით).

ანალოგიურ საქმეში Cengiz and Others v. Turkey ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შესაბამისობაში იყო გამოხატვის თავისუფლებასთან თურქეთის ხელისუფლებასთან თურქეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ პორტალ Youtube-ზე წვდომის სრული ბლოკირება, რომელიც ხელისუფლების ორგანოებმა განახორციელეს იმ მოტივით, რომ პორტალზე მრავალ მილიონ ვიდეოებს შორის განთავსებული იყო ათი ვიდეო, რომელიც ხელისუფლების ორგანოების მოსაზრებით შეურაცხყოფდა ათა თურქის ხსოვნას. მოსარჩელები, რომლებიც იყვნენ ვებ-გვერდის აქტიური მომხმარებლები, ჩიოდნენ, რომ ხსენებული გადაწყვეტილებით მათ დაერღვათ გამოხატვის თავისუფლება.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლების) დარღვევას, რადგან ჩარევა არ აკმაყოფილებდა

და კონვენციით გათვალისწინებული კანონიერების მოთხოვნას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნებს, ისევე როგორც სხვადასხვა უნივერსიტეტში მოღვაწე აკადემიურ პერსონალს, ხელი შეეშალათ Youtube-ზე წვდომაში დიდი ხნის განმავლობაში და მათ შეეძლოთ კანონიერად ეთქვათ, რომ ვებ-გვერდის დაბლოკვამ გავლენა მოახდინა ინფორმაციის მიღებისა და ინფორმაციის გავრცელების უფლებაზე. ამასთანავე, სასამართლომ აღნიშნა, რომ Youtube იყო უნიკალური პლატფორმა, რომელიც საშუალებას აძლევდა მომხმარებელს ხელმისაწვდომობა ჰქონოდა სპეციფიურად საინტერესო მასალაზე, მაგალითად, პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე, და ხელს უწყობდა 'მოქალაქე ჟურნალისტს' თვითრეალიზებაში. როგორც ზემოხსენებულ საქმეში, აქაც სასამართლომ დაადგინა, რომ კანონით არ იყო გათვალისწინებული რაიმე დეზულება, რომელიც ითვალისწინებდა ნათლად პორტალის სრულად დაბლოკვის შესაძლებლობას ამ პორტალზე განთავსებული რომელიმე ან რამოდენიმე ინფორმაციის/ვიდეოს გამო.

ზემოსხენებული საქმეების მსგავსად, ევროპული სასამართლო მკაცრად მიუდგა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მომჩივანისათვის სოციალურ

ქსელში პირად გვერდზე (profile) შესვლის შეზღუდვას. საქმეში KABLIS v. RUSSIA¹⁰ მომჩივანი სოციალური ქსელის მეშვეობით (в контакте) მოუწოდებდა თანამოაზრეებს შეკრებილიყვნენ ქ. სიკტივკარის ადმინისტრაციულ შენობასთან, რათა თავდაპირველად სახალხოდ ემსჯელათ კომის რესპუბლიკის გუბერნატორის და მისი მოადგიელების წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. მომჩივანმა და მისმა თანამოაზრეებმა შეტყობინება გაუგზავნეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს შეკრების ჩატარებასთან დაკავშირებით, რომელიც უარყოფილ იქნა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ. თუმცა, მომჩივანი სოციალური ქსელის მეშვეობით აგრძელებდა მოწოდებას შეკრებასთან დაკავშირებით. გენერალური პროკურორის მოადგილის შუამდგომლობის საფუძველზე, კომუნიკაციების ზედამხედველობის ფედერალური ბიუროს ბრძანებით, მომჩივანს შეეზღუდა სოციალური ქსელის პირად გვერდზე შესვლა, ისევე როგორც შეზღუდა სოციალურ ქსელში მომჩივანის მიერ გამოქვეყნებული სტატუსების ხილვა დაინტერესებული პირების მიერ. საჩივრის განხილვისას ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით. პირველი,

სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის თანახმად, გენერალური პროკურორის მოადგილეს უფლებამოსილება გააჩნდა შეეზღუდა სოციალურ ქსელში პირად გვერდზე ან სტატუსებზე ხელმისაწვდომობა თუკი ადგილი ჰქონდა ან მომეტებული დამაჯერებლობით ადგილი ექნებოდა სამართალდარღვევას. რუსეთის ხელისუფლების ორგანოების მტკიცებით, შეკრებაზე უარის შემდგომ ნებისმიერი მოწოდება შეკრების განხორციელებასთან დაკავშირებით იყო მოწოდება სამართალდარღვევისაკენ. თუმცა, მოქმედი კანონმდებლობა არ ანიჭებდა მომჩივანს რაიმე სახის უფლებას/გარანტიას, რომ სასამართლო წესით ედავა და მიღებული ყოფილიყო გადაწყვეტილება შეკრების არაკანონიერად გამოცხადებასთან დაკავშირებით – სულ მცირე მიღებული ყოფილიყო გადაწყვეტილება იმ მომენტამდე, სანამ შეკრება გაიმართებოდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ღონისძიების მიზანი იყო აზრის გამოხატვა საზოგადოებრივი ინტერესის აქტუალურ საკითხზე, კერძოდ, რეგიონალური ხელისუფლების წარმომადგენლების ბოლოდროინდელ დაპატიმრებებზე. მეორე, საჯარო შეკრებაზე მომჩივანს უარი ეთქვა ფორმალური საფუძვლით – მომჩივანის მიერ შერჩეულ ადგილას საზოგადოებრივი თავშეყრა ზოგადად იყო აკრძალული (ევროპულ სასამართლოს კი მიღებული აქვს გადაწყვეტილება, სადაც დადგენილია, რომ ხსენებული ზოგადი აკრძალვა ეწინააღმდეგება კონვენციას). მესამე, სადავო ინტერნეტ-პოსტებში არ იყო მითითებული საჯარო ღონისძიების დროს ძალადობის, არეულობის ან სხვაგვარი უკანონო ქმედებების ჩადენის მოწოდება. მეოთხე, მხოლოდ ორმოცდაათამდე ადამიანი უნდა დასწრებოდა საჯარო თავშეყრას. ღონისძიების ადგილმდებარეობის, მცირე ზომის და მსუილობიანი ხასიათის გათვალისწინებით, არ არსებობდა საფუძველი იმის დასაჯერებლად, რომ საჭირო და პროპორციული ყოფილიყო საზოგადოებრივი არეულობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად მოსარჩელის სოციალური ვებ-გვერდის დაბლოკვა ან მის სტატუსებზე შეზღუდვის დაწესება.

ინტერნეტზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ასევე ძალიან საინტერესო იყო რამდენიმე წლის წინ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საქმეზე Kalda v. Estonia¹¹. ხსენებულ საქმეში პარნა-ს ციხის დირექტორმა უარი განუცხადა ციხეში მყოფ პატიმარს მასზე, რომ ამ უკანასკნელს ხელმისაწვდომობა ჰქონოდა ინტერნეტში განთავსებულ სამ ვებ-გვერდზე (საკანონმდებლო მაცნე, უზენაესი სასამართალწარმოებისას).

ღონისძიების ადგილმდებარეობის, მცირე ზომის და მსუილობიანი ხასიათის გათვალისწინებით, არ არსებობდა საფუძველი იმის დასაჯერებლად, რომ საჭირო და პროპორციული ყოფილიყო საზოგადოებრივი არეულობის ან დანაშაულის თავიდან ასაწილებლად მოსარჩელის სოციალური ვებ-გვერდის დაბლოკვა ან მის სტატუსებზე შეზღუდვის დაწესება.

მართლოს ვებ-გვერდი და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საძიებო სისტემა), რომლებზეც შესაძლებელია მოძიებულ იქნეს იურიდიული ინფორმაცია. საჩივარში მომჩივანი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ ესტონეთის კანონი, რომელიც კრძალავდა ამ კონკრეტულ ვებ-გვერდებზე წვდომას, არღვევდა ინტერნეტის მეშვეობით მის მიერ ინფორმაციის მიღების უფლებას კონკრეტულად მისთვის საინტერესო

საკითხებთან დაკავშირებით და ხელს უშლიდა მას მიეღო მნიშვნელოვანი ინფორმაცია (რაც მას ხელს შეუწყობდა დაცვის პოზიციის ჯეროვნად ჩამოყალიბებაში) მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოებისას.

ხსენებულ საქმეში სასამართლომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საზოგადოების უფლებას, მიიღოს ინფორმაცია საჯარო ინტერესის მქონე საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ფორუმების შექმნის ფუნქცია საჯარო დებატებისთვის არ შემოიფარგლება მხოლოდ პრესით. ამ ფუნქციას შესაძლოა ასრულებენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომელთა საქმიანობა ინფორმირებული საზოგადოებრივი დებატების აუცილებელი ელემენტია¹².

გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ ინფორმაციის მიღების უფლებით დადგენილი ვალდებულება უკრძალავს ხელისუფლებას, ხელი შეუშალოს პირს მიიღოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც სხვებს სურდათ გაეზიარებინათ¹³. თუმცა, ევროპული სასამართლოს განმარტებით ადამიანის უფლება მიიღოს ინფორმაცია არ გულისხმობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას შეაგროვოს და გასცეს იგი¹⁴.

წინამდებარე საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება) იმ მოტივით, რომ განმცხადებლისთვის იურიდიული ინფორმაციის შემცველ ინტერნეტგვერდებზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა არღვევდა მოსარჩელის ინფორმაციის მიღების უფლებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებულნი არ არიან პატიმრები უზრუნველყოფონ ინტერნეტით. ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თუკი სახელმწიფოები აძლევდნენ პატიმრებს ინტერნეტზე ხელმისაწვდომობას, როგორც ეს ხდებოდა ესტონეთში, სახელმწიფოს ეკისრებოდა მტკიცების ტვირთი, რათა გამართლებინა კონკრეტულ საიტებზე წვდომის შეზღუდვა. მოსარჩელის საქმის სპეციფიკურ გარემოებებში, სა-

ხელმწიფოს მიერ წარმოდგენილი მიზნები (უსაფრთხოების ინტერესები და ფინანსურ ხარჯებთან დაკავშირებული მიზნები) არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ გაემართლებინა ჩარევა მოსარჩელის ინფორმაციის მიღების უფლებაში. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებას მიღებული ჰქონდა უსაფრთხოების ზომები პატიმრების ინტერნეტით სარგებლობასთან დაკავშირებით – სპეციალურად ამ მიზნებისათვის ადაპტირებული კომპიუტერებისა და ციხის პერსონალის მეშვეობით (სხენებული უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებული ხარჯები გაღებული იყო). შესაბამისად, ევროპული სასამართლოსათვის გაურკვეველი დარჩა რას ვერდნობდნენ ხელისუფლების ორგანოები, როდესაც ერთის მხრივ პატიმრებს აძლევდნენ ინტერნეტზე ხელმისაწვდომობას, ხოლო, მეორეს მხრივ უკრძალავდნენ ისეთ ვებ-გვერდებზე წვდომას, როგორცაა: ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საძიებო ვებ-გვერდი და უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდი.

„Jankovskis v. Lithuania“ საქმე ეხებოდა პატიმრის საჩივარს, რომლის თანახმადაც მას უარი ეთქვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდებზე შესვლაზე, რამაც ხელი შეუშალა მას განათლების მიღებასა და შესაბამისი ინფორმაციის მიღებაში. მოსარჩელემ წერილობით მიმართა სამინისტროს და მოითხოვა მიეწოდებინათ მისთვის ინფორმაცია უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ, იურიდიული განათლების მისაღებად. განათლების სამინისტროს მიერ გამოგზავნილი პასუხის თანახმად, სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელი იყო სამინისტროს ვებ-გვერდზე. თუმცა, ციხის ადმინისტრაციამ, მოგვიანებით კი ადმინისტრაციულმა სასამართლოებმა, მოსარჩელეს ინტერნეტით სარგებლობაზე უარი უთხრეს, იმ მოტივით, რომ პატიმრებს, უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, აკრძალული ჰქონდათ ინტერნეტით სარგებლობა (პატიმრებს ზოგადად ჰქონდათ აკრძალული რადიო და სატელეფონო კომუნიკაცია, ისევე როგორც ინტერნეტი).

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მართალია კონვენციის მე-10 მუხლი არ შეიძლება ყოფილიყო იმგვარად განმარტებული, რომ იგი აკისრებდა სახელმწიფოს პატიმრის ინტერნეტით უზრუნველყოფის ვალდებულებას, მაგრამ, რადგან ლიტვის კანონმდებლობა უფლებას აძლევდა პატიმარს მიეღო განათლება, ინტერნეტზე და კერძოდ, განათლების სამინისტროს ვებ-გვერდზე წვდომის შეზღუდვა უნდა განხილულიყო მოსარჩელის ინფორმაციის მიღების უფლებაში ჩარევად. ეს ჩარევა კანონით იყო დადგენილი და ემსახურებოდა სხვისი უფლებების დაცვას და არეულობის და დანაშაულის პრევენციის ლეგიტიმურ მიზანს. ამასთან, ვებ-გვერდი, რომელზეც განმცხადებელს სურდა ჰქონოდა წვდომა, შეიცავდა ინფორმაციას ლიტვაში სწავლისა და სწავლების პროგრამების შესახებ. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ინტერნეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში, რადგან გარკვეული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო ექსკლუზიურად ინტერნეტში. ამასთან, ლიტვის ხელისუფლებამ არ განიხილა განმცხადებლის შეზღუდული ან კონტროლირებადი ინტერნეტით სარგებლობის მინიჭების შესაძლებლობა იმ კონკრეტულ ვებ-გვერდზე, რომელსაც ადმინისტრირებას უწევდა სახელმწიფო ინსტიტუტი და სხენებულით ანეიტრალურად უსაფრთხოების რისკებს.

დასკვნა

როგორც ზემოხსენებული საქმეებიდან ნათლად ჩანს, ინტერნეტი ცალსახად ხდება გამოხატვის თავისუფლების დაცვის ფარგლებში. უფრო მეტიც, გამომდინარე ინტერნეტის როლიდან თანამედროვე სამყაროში ხელი შეუწყოს ინფორმაციის და მოსაზრებების გავრცელებას საზოგადოებრივად მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებით, მისი შეზღუდვა ყოველთვის ექვემდებარება ევროპული სასამართლოს მხრიდან მკაცრ მეთვალყურეობას. შესაბამისად, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა გამართლებული უნდა იქნეს განსაკუთრებით მყარი არგუმენტებით.

ამასთანავე, დაუშვებელია ინტერნეტ-პორტალების და ვებ-გვერდების ბლანკეტური შეზღუდვა შესაბამისი ჯეროვანი საფუძვლის გარეშე, რაც შეიძლება იყოს ძალადობის, ბავშვის პორნოგრაფიის, ტერორიზმის, ექსტრემიზმის აღკვეთის ინტერესები.

- 1 *Observer and Guardian v. the United Kingdom*, 26 November 1991, § 59 (b)
- 2 <https://www.ohchr.org/EN/Issues/FreedomOpinion/Pages/SR2017ReporttoHRC.aspx>
- 3 *CASE OF TIMES NEWSPAPERS LTD v. THE UNITED KINGDOM* (Nos. 1 AND 2) 3002/03 23676/03 | Judgment (Merits) | Court (Fourth Section) | 10/03/2009
- 4 (*Handyside v. the United Kingdom*), 7 დეკემბერი 1976, § 49, Series A no. 24, და, *ლინდონი, ოჩაკოვსკი-ლორენსი და ჯული საფრანგეთის წინააღმდეგ* (Lindon, Otchakovsky-Laurens and July v. France) [GC], nos. 21279/02 და 36448/02, § 45, ECHR 2007IV, და *ფონ ჰანოვერი (Von Hannover* (no. 2), ზემოთ ციტირებული, § 101)
- 5 *Cengiz and Others v. Turkey*, judgment of 1 December 2015, §§ 49 and 52
- 6 *CASE OF AHMET YILDIRIM v. TURKEY* განაცხადი №3111/10, 18 დეკემბერი 2012, პუნქტი 50
- 7 *Ahmet Yildirim v. Turkey* განაცხადი №3111/10, 18 დეკემბერი 2012
- 8 *Ibidem*. პუნქტი 49
- 9 *Vereinigung demokratischer Soldaten Österreichs and Gubi v. Austria*, 19 December 1994, § 27, Series A no. 302
- 10 *KABLIS v. RUSSIA* განაცხადი №48310/16 59663/17, 30 აპრილი 2019
- 11 *Kalda v. Estonia*, სარჩელი №17429/10, 19 იანვარი 2016
- 12 (იხ., მაგალითად, *Österreichische Vereinigung zur Erhaltung, Stärkung und Schaffung v. Austria*, Application no. 39 39534/07, §§ 33-34, 2013 წლის 28 ნოემბერი.)
- 13 (იხ. *Leander v Sweden*, 1987 წლის 26 მარტი, § 74, სერია A არა 116)
- 14 იხ. *Guerra and Others v. Italy*, 19 თებერვალი 1998, § 53

ISSN 1987-5479



9 771987 547000 >

